

ფილიალი  
კიბელი

# მოგარე

უკანა სეზ. 10.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 15

უკანა სეზ. 10 განა.

№ 15

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ეგნიგულფის ქ. № 1.  
(უფრო — კარიტა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6-90.

რედაქცია დია: ერეკ და დილის 9 ს. — 2 საათამდე.

რედაქტორის ნახვა შეიძლება 12 ს. — 2 საათამდე.

## ოფიციალური განყოფილება

დეკემბერი № 65

საქართ. სოც. საბ. რესპუბლ. რეგ. კომიტეტისა.

საზოგადოებრივ-საშიშ მოქმედებისათვის ბრალდებულ არასრულ წლდოვანთა კომისიის შესხებ.

1. საერთო სასამართლო და საპურობილები და პარიტეტი მცირე წლოდებით და არა სრულწლოვანთათვის გაუქმებულ იქნება.

2. არასრულწლოვანად ჩაითვლება ორივე სქესის მოქალაქე, რომელსაც თვრამეტი წელი არ შესრულებია.

3. საქმე ორთავ სქესის არასრულწლოვანთა საზოგადოებრივ საშიშ მოქმედების შესხებ ექვემდებარება არასრულწლოვანთა კომისიის.

4. უკეთე 14—18 წლის ასაკოვან არასრულწლოვანის შესხებ საქმის განხილვის დროს კომისია სცნობს, რომ მისთვის მედიკო-პედაგოგიური ზე-მოქმედება შეუსაბამოა. — საქმეს სახალხო სასამართლოს გადასცემს:

შენიშვნა: იუსტიციის სახალხო კომისარს დავვალება.

ა) შეუდგეს განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად სათანადო დაწესებულებათა ორგანიზაციის (რეფორმატორიუმებისა)

ბ) ვიღრე რეფორმატორიუმები მოეწყობოდეს — ზემოაღნეშნულ არასრულწლოვანნი ამყოფის განსაკუთრებულ სადგომში მოზღვილთაგან განცალკევდით.

5. უკეთე კომისია დაინახავს, რომ საქმეში მო-

ნაწილებია მიუღიათ მოზრდილ პირებს, — იგი აცნობებს სათანადო სასამართლოს ან საგამომძიებლო ორგანოს მის მიერ აღმონახენ ნიშნებს ხსნებულ პართა საღანაშაულო მონაწილეობისას.

6. არასრულწლოვანთა კ. ისი მოეწყობა განათლების სახალხო კომისარიატის სამაზრო და საქალაქო ორგანოებთან. — სასწავლო და სამკურნალო-სააღმზერდელო დაწესებულებაში არიან განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების უწყებაში — კუთხებილებისამებრ.

აღნიშნული კომისია შესღება განათლებისა და ჯანმრთელობის (ე. იმპ. ფსიქიატრი) სახალხო კომისარიატებისა და სახალხო სასამართლოს წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა: იუსტიციის სახალხო კომისარიატს ევალება — განახორციელოს ბეჭითი ზედამხედვილობა არასრულწლოვანთა კომისიის წევრთა მიმართ და აგრეთვე იმისაც, თუ როგორ სრულდება მათი მოვალეობა.

7. საზოგადოებრივ - საშიშ მოქმედებისათვის ბრალდებულ ზე-მანკიერ არასრულწლოვანთა აღზრდა, სწავლება და წამლობა — არის მედიკო-პედაგოგიური საგანი და განხორციელდება განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების სათანადო სამკურნალო-სააღმზერდელო დაწესებულებაში, სადაც არასრულწლოვანთა კოსისია მათ გაპტავნის.

უკეთე საპიროება მოითხოვს, — ისეთი არასრულწლოვანი შეიძლება გადაყვანილ იქნება განსაკუთრებულ მცირე რეფორმზე ჯანმრთელობის სახა-

ლხო კომისარისტის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში — განცალკევებულად.

8. ღვირებული ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ს. ჭავთარაძე.

რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.  
1921 წ. აგვისტოს 8,  
ტფილისი, — სასახლე.

## დეკრეტი № 66

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის შემოსავალ გახსალის აღრიცხვათა წესის შესახებ.

ვიდრე საქართველოს სოციალისტური საბრძოლო რესპუბლიკის კონსტიტუციის წესით საბიუჯეტო უფლების დებულება საბოლოოდ შემუშავებოდეს, რევოლიუციონური კომიტეტი აღენს:

1. საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის შემოსავალ-გახსალი, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი, გაერთიანებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტად.

2. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული საფინანსო აღრიცხვებისა და სახელმწიფო შემოსავალ-გახსავლის რიცხვ-რიგის შედგენისა, განხილვისა, დამტკიცებისა და ასრულების წესი.

3. წესი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა იმ პირობით, რომ ყოველმა უწყებამ, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, იხელშედვანელოს იგი თავისი აღრიცხვის შედგენის დროს — მომავალი საბიუჯეტო პერიოდისათვის, 1922 წლის იანვრის 1-დან დაწყებული.

**შენიშვნა:** ფინანსთა კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშავებს ფორმას, რომლის თანახმადაც შედგენილ უნდა იქნეს უწყებათა აღრიცხვანი.

4. შენიშვნას ფინანსთა სახალხო კომისარს, მუშათა და გლეხთა ინპექციასა და საბჭოთა იმ ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით, რომელიც განვიხევნ პროცესებისა, მასალებისა, საგნებისა და სხვ. წარმოებისა და განაწილების საქმეს, შეიმუშაოს არა უგვიანეს 1922 წ. იანვრის 1-სა დაბულებანი: ა) სახელმწიფო წარმოებათა ფინანსურად უზრუნველყოფისა და ბ) საბჭოთა დაწესებულებათათვის საანგარიშო თავმოების წარმოებისა, — როთა, მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო ეკონომიკური გეგმის მიხედვით, — მოწერივებულ იქნეს საურთიერთო ანგარიშები საბჭოთა დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა შორის, — როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

5. დაწესებული კოველ უწყების, — გადარიცხოს სახელმწიფო შემოსავალში, არა უგვიანეს 1922 წლ.

იანვ. 15-სა, მის განკარგულებაში დარჩენილი სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კანის ლების ნაღდი ფული და ყველა ის ზარჯო; არმელიც გაწეული უნდა ყოფილიყო ხაზინაში გადასარიცხი სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კაპიტალებიდან, მოქცეულ იქნეს 1922 წლის სახელმწიფო საერთო ხაზითა აღრიცხვაში.

6. დაწესებულის იმავე უწყებათ გადარიცხოს ხაზინის შემოსავალში, არა უგვიანეს 1922 წლის იანვრის 15-სა ყველა დეპოზიტების თანხები, რომელიც ირიცხება ხაზინის ანგარიშები, იმ პირობით, რომ უკვეთუ საჭირო აღმოჩნდება ხაზინაში გადაცემული რომელიმე დეპოზიტის კუთხვინილებისამებრ დაბრუნება, იგი დაუბრუნდეს სახელმწიფოს ნაღდი ფონდიდან დეპოზიტის განმკარგულებელი უწყებისა, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და იუსტიციის კომისარიატების სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით.

7. 1922 წლის იანვარ-დეკემბრის შემოსავლის აღრიცხვის შედეგნისას სახალხო კომისარიატები და ცენტრალური სამმართველოები ვალდებული არიან გაითვალისწინონ და მოათვალონ აღრიცხვაში სახელმწიფო შემოსავალში გადასარიცხი, როგორც სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კაპიტალებისა, ისევე დეპოზიტების ნაღდი ფულის თანხები.

**შენიშვნა:** სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც ირიცხება სპეციალურ საშუალებად, ფონდად, კაპიტალებად და დეპოზიტებად, უნდა გადარიცხულ იქნეს სახალხო ზანკის პორტფელში ცალკე სით, სადაც უნდა აღნიშნული იყოს სარგებლიანი ქაღალდის სახელმწიფოება და მისი ნომინალური ღირებულება, მაგრამ შემოსალის აღრიცხვაში არ უნდა იქნეს გატარებული.

8. უკვეთუ რაიმე მიზეზის გამო უწყებათა მიერ მე-5 და 6 მუხლში აღნიშნული თანხები გადარიცხულ არ იქნა და მე-7 მუხლში მოხსენებული სარგებლიანი ქაღალდები არ იქნა გადაცემული, — მა მუხლებით განსაზღვრულ ვადაზედ, იმ შემთხვევაში მე-5, 6 და 7 მუხლის მოთხოვნილებათ შესრულებისათვის განკარგულებას გასცემს უშუალოდ ფინანსთა კომისარიატი საკასო დაწესებულებათა მიმართ, რომელიც მოხდენენ დაღვინილის წესით გადარიცხვას არა უგვიანეს 1922 წლის თებერვლის 1-სა.

9. დაწესებულის კომისარიატებს და სხვა ცენტრალურ სამმართველოებს — წარულებინონ არა უგვიანეს 1922 წლ. მარტის 1-სა მუშათა და გლეხთა ინსპექციის აღსრულებული აღრიცხვები ყველა მათ განკარგულებაში 1921 წლ. ოქტომბრის 25-დან 1922 წლის იანვრის 1-დე განსილი კრედიტებისა და დახარჯული თანხებისა, იმ პირობით, რომ ეს აღრიცხვები, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განხილვა-შემდეგ, გაეგზავნოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს ორი კვირისა შილების დღილიან.

10. ფინანსთა კომისარიატში მიღებული კომისარიატებისა და ცენტრალურ სამმართველოების აღსრულებული აღრიცხვები, სათანადო განხილვა-შემოწმების შემდეგ, კალკე საერთო კრებულიდ აღნისული, წარიდგინება,— შეშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვითურთ,— საქართველოს რევოლუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად, არა უგვიანეს ორი კეირისა მიღიბის დღიდან.

11. თვალყურის დევნება, რათა დეკრეტი ესე სახელით და უკალებლად იქნეს აღსრულებული, მიენდობა ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს— კუთვნილებისამებრ.

საქ. სოკ. საბ. რეს. რევ.

კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდიგარი.

ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სეანიძე.

რევოლუცი. კომიტეტის მდიგარი ალ. ხალარიძე.

1921 წლ. ივნის 10.

ტფილისი—სასახლე.

დეკ. № 66  
დანიართი.

## მ ე ს ი

საქართველოს სოც. რესპუბლიკის საფინანსო აღრიცხვათა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგის შედეგებისა, განხილვისა, დამტკიცებისა და ასრულების შეხედ.

### 1. ზოგადი დებულება.

1. საფინანსო აღრიცხვა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგი უნდა უნდა იქნეს წერილი პერიოდისათვის— 1 იანვრიდან 31 დეკემბრიდან— ამ რიცხვითურთ.

2. აღრიცხვისთვის და რიცხვ-რიგით უნდა აღნისხოს იმ პერიოდისათვის გასათვალისწინებელი სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი. — ისე—კი რომ არ იყოს განაწილებული ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივზე.

3. ყოველი გადასახადი და შემოსავალი ყველა უწყების— გამოუკავშიროვ— (მათ შორის გაეროვნებულ წარმოებათა, ხმელეთისა და წყლის ტრანსპორტისა და სასურსათო-სახალხო კომისარიატის დაწინებულებათა) არავთარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დატოვებული შისახახდ თანამდებობის პირთან და დაწესებულებაში და აგრეთვე არ უნდა ჩაირიცხოს, თებოზიად და სპეციალურ საშუალებად დაწესებულების ან თანამდებობის პირის სახელდებელო ანგარიშით, არავდედ დაუყონებლივ, დაწესებულებაში ან თანამდებობის პირთან შემოსვლისათანავე, (ხოლო სპეციალურ ამკრეფთა კასებიდან განსაზღვრულ იარაზედ) უნდა გადაეცეს საფსებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკასო დაწესებულებას.

შენიშვნა: უწყებას ნება ჩატარება— იქონიოს თავის მიმღინარე ანგარიშზე მხოლოდ ის თანხა, რომელიც მიუღია მას ავანსიდ მომ-

ქვედი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ამ ხარჯთ აღრიცხვის ძალაში შესვლის დღიდან დაბულები ვამდე. კრედიტების მოქმედების ვადის მოსხიურებისა ბასთან ერთად— დაბულებულ უნდა იქნეს უწყების ის ანგარიშებიც, რომელიც ამ კრედიტებისაგან წარმომდგარა.

### 2. აღრიცხვის შედეგების რიგი.

4. სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვას შეადგენენ სახალხო კომისარიატები და სხვა ცენტრალური სამმართველოები, ხოლო ამ აღრიცხვების მასალად ჩაითვლება ის ხარჯთაღრიცხვები და ცნობები, რასაც წარმოადგენენ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური სამმართველოების სათანადო ადგილობრივი დაწესებულებანი და აგრეთვე კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური სამართველოთა მოსაზრებანი.

5. საფინანსო აღრიცხვა და სახელმწიფო მემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგი შესდეგება თრი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: ა) შემოსავალი და გასავალი პირდაპირი და ბ) შემოსავალი და გასავალი სატრიალებელი.

6. აღრიცხვისა და რიცხვ-რიგის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემოსავალ-და ხაზის პირდაპირი შემოსავალი, ფულის ნიშნებით შეტანილი, ან კერძო ორგანიზაციებისა და პირების მიღინარე ანგარიშებიდან გადარიცხული თანხები, ხოლო გასავალი— სახელმწიფო თანხიდან პირდაპირ,— კასების საშოალებათ, გაცემული, ან კერძო ორგანიზაციებისა და პირებისათვის საკასო დაწესებულებანში გახსნილ მიმღინარე ანგარიშებზედ გადარიცხული თანხები.

7. აღრიცხვის ია რიცხვ-რიგის შეორე (სატრიალებელ) ნაწილში აღინუსხება შემოსავალი— ლირებულება მასალებისა, საგნებისა, ნაწარმოებთა, პროდუქტებისა, რომელიც მიაწვდიან და ყოველგვარი სამსახურისა, რომელიც გაუწვენ საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებანი ია წარმოებანი, — როგორც მწარმოებელი და განმანაწილებელი თარგანოები,— საბჭოთა სხვა დაწესებულებათა და წარმოებათაგან, და ყოველგვარი სასახურისა, რომელსაც უკანასკნელი გაუწვევენ პირველთ.

შენიშვნა 1: უკიდურეს შემთხვევაში, როგორც აუცილებელ საქიროებად ცნობილ იქნება პირდაპირი ფულის გაცემა იმ კრედიტების ანგარიშში, რაც გადაეცეს სატრიალებელისა, რომელიც მიაღებენ საბჭოთა დაწესებულებანი და წარმოებანი, როგორც მომხმარებელი, საბჭოთა სხვა დაწესებულებათა და წარმოებათაგან, და ყოველგვარი სასახურისა, რომელსაც უკანასკნელი გაუწვევენ პირველთ.

ტებში გადატანა ოვითეული პარაგრაფის სატრიალებელი ასიგნოების 25%-ზედ უმცესესისა შესაძლებელია მხოლოდ უწყების შეთანხმებით ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატებთან.

**შენიშვნა 2:** საუწყებათა შორისო საბიუჯეტო თათბირის მოთხოვნილებით მთავრი სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოველი მთავრი სამმართველო, კენტრი და განყოფილება და არეოფე საბჭოთა სხვა მწარმოებელი და განმანაწილებელი ორგანო ვალდებულია გაუგზავნოს მას ცნობები თავის წარმოებათ ნაწარმოებისა და გასანაწილებელი პროდუქტებისა და საგნების არსებული რაოდენობისა და სახარჯთაღრიცხვო პროიცენტი მოსალოდნელ შემოსავლისა და გასავლის შესახებ.

**შენიშვნა 3:** მწარმოებელი და განმანაწილებელი უწყებანი და თანამდებულებანი ვალდებული არიან წარადგინონ, ხარჯთაღრიცხვის განსაკუთრებული დანართის სახით, თავისი მოსაზრებანი იმ ფასების შესახებ, რა ფასადაც ისინი აპირებენ თავიანთ ნაწარმოების ან გასანაწილებელი მასალების, საგნების, პროდუქტების და სხვ. გაცემას.

8. აღრიცხვისა და შემოსავლის და გასავლის რიცხვ-რიგის რჩივე ნაწილი შედგენილ უნდა იქნეს შემოღებული კლასიფიკაციის თანახმად. ამ კლასიფიკაციის საჭირო ცვლილების შეტანა შეიძლება სათანადო სახალხო კომისარიატებისა და სხვა (კენტრალურ სამმართველოთა შეთანხმებით—ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებსა და მთავრი სახალხო მეურნეობის საბჭოსთან).

9. იმ შემთხვევაში, თუ უწყებას შეტად გაუძლებება სატრიალებელი შემოსავლის და გასავლის თანხების გამორკევა მუშაობის პირველ ხაზში, — ე. ი. წინასწარი საუწყებათა შორისო სააღრიცხვო თათბირის შიგრ აღრიცხვის განხილვამდე (მუხ. 15), აღრიცხვის პროექტი შეიძლება შედგენილ იქნეს ისე, რომ შემოსავლი და გასავალი არ იყოს განაწილებული პირდაპირსა და სატრიალებელზედ, — იმ პირობით კი, რომ ამგარი განაწილება მოხვეს ხარჯთაღრიცხვის საუწყებათა შორისო საბიუჯეტო თათბირში (მუხ. 17) წარდგენის დღემდე.

10. უკითხ არსებითად ერთგვარი შემოსავალი და გასავალი, რომელიც მოთავსებულია ერთსა და იმავე სააღრიცხვო განყოფილებაში, უნდა შეტანილ იქნეს აღრიცხვის რჩივე ნაწილში, ე. ი. პირდაპირსა და სატრიალებელ შემოსავალსა და გასავალში, — იმ შემთხვევაში აღრიცხვისა და რიცხვ-რიგის რჩივე ნაწილში უნდა იქნეს მოყვინილი ერთი და იგივე სააღრიცხვო განყოფილება, ამა თუ იმ შემოსავალისა და გასავალის შესაბამი, ერთსა და იმავე ნორმის, განყოფილების, თავის, პარაგრაფის, მუხლის და ლიტერის აღნიშვნით.

11. შემოსავალ გასავალის აღრიცხვის შედგენის დროს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღების და გასავალის აღრიცხვის შედეგის მიხედვით მინაბაზე და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების საანგარიშო ფურცლებიდან.

ოფა იმას, რომ აღრიცხვა გადამეტებით მუშაობის ნავარაუდევი. ამ მიზნის მისაღწევად უწყებას დაუტენის გალება შემოსავალ-გასავალის ჯამის გამოსარჩევების იხელმძღვანელოს საბჭოთა ბიუჯეტის მოქმედების წინა წლის ნამდვილი შემოსავალ-გასავალი, რისთვის ცნობებს შეცვალების და გასავალის შესახებ შეცკრების თავის ქვემდებარებულებათაგან და ამოილების ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების საანგარიშო ფურცლებიდან.

12. ნავარაუდევის გამართლება უნდა განმარტებულ იქნეს მოკლედ, მაგრამ ისე კი, რომ აღვრილად შეიძლებოდეს გამორკვევა, თუ რამდენად სისწორით არის ნაანგარიშევი აღრიცხვაში შეტანილი თანხები.

13. აღრიცხვის დაერთვის განმარტებითი წერილი, სადაც შემოსავლის შესახებ უნდა მოთავსებულ იქნეს ახსნა-განმარტება აღრიცხვის წეს-რიგისა და გასავალის შესახებ უნდა მოხსენებულ იქნეს ის დასაბუთება, რომელიც ამართლებს გამონათხოვი კრედიტების კანონიერობას, მიზანშეწონილობას და რაოდენობას.

14. უწყებანი ხელს მიჰყოფენ ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროის ისეთ გამოანგარიშებით, რომ პროექტები თათბირის მიერ განხილულ იქნეს (მუხ. 15) მე-16-ე მუხლში ნაჩვენებ გადაზე.

3. აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

15. აღრიცხვის პროექტი, დამზადებისათანავე, შეტანილ უნდა იქნეს წინასწარი განსახილველი და უწყებასთან დაწესებულ განსაკუთრებულ თათბირში, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა, ინსპექციის სახალხო კომისარიატების და მთავრი სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით. აღრიცხვის პროექტი უნდა გადაცეს თათბირის მონაწილეობით ხელი დღით აღრიცხვის თათბირში განხილვამდე.

16. წინა მუხლში აღნიშნული თათბირი აღრიცხვის განხილვას უნდა შეუდებეს იმ ანგარიშით, რომ მის მიერ უკვე განხილული აღრიცხვის ფინანსთა კომისარიატში წარდგენა შესაძლებელი იქნეს: ა) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატისა საბიუჯეტო და ინსპექციის წინასწარი დეკემბრის 20-კის და ბ) დანარჩენი კომისარიატებისა და დაწესებულებათა—დეკემბრის 10-ს.

17. წინასწარი თათბირის მიერ (მუხ. 16) განხილული და შესწორებული აღრიცხვა და აგრეთვე მის შესახებ გამოთქმული სხვა და სხვა აზრი შეტანილ უნდა იქნეს საბოლოო განსახილველი და გადასაწყვეტილ ფინანსთა კომისარიატთან დაწესებულ განსაკუთრებულ საუწყებათა შორისო საბიუჯეტო თათბირში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და აგრეთვე აღრიცხვის შემდეგი დაწესებულების წარმომადგენლი.

18. წინა მუხლში აღნიშნულ საბიუჯეტო

თათბირში შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა შეტანილ უნდა იქნეს უწყებების მიერ ოთხ ეკუთხებლია-რად, განმარტებითი წერილით, შემოსავალ-გასავლის საერთო ნუსხებით და დანართობითურთ. თათბირში იგი უნდა განიხილოს ერთ თვეზე არა უგვიანეს.

19. საბიუჯეტო თათბირის მიერ აღზიცხვების საბოლოოდ განხილვისა (მუხ. 17 და 18) და თათბირისავე დადგენილების თანახმად გასწორების შემდეგ, სათანადო უწყებანი წარადგენენ აღრიცხვებს შვიდი დღის განმავლობაში საქართ. სოც. საბ. რესპ. რევოლუციონურ კომიტეტში და იმავე დროს გაუგზავნიან ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს აღზიცხვის ეკუთხებლიარების საჭირო რაოდენობას.

20. აღრიცხვებისავან (მუხ. 19) ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეადგენს სახელმწიფო შემოსავლის და გასავლის რიცხვ-რიგს, რომელსაც დაუტოვს განმარტებითი წერილს და წარუდგენს რევ. კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში დღიდან აღრიცხვების უწყებათავან მიღებისა (მუხ. 19); ამავე დროს რიცხვ-რიგის ასლს გაუგზავნის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

21. საბიუჯეტო თათბირის მიერ გადაუწყვეტლად დატოვებული ყოველი შეუთხნებებლობა ხარჯთაღრიცხვების შესახებ წარედგინება რევოლუციონურ კომიტეტს განსახილველად რიცხვ-რიგის წარდგენასთან ერთად; ხოლო თუ უთხნებობა შეეხება ამა თუ ეს სააღრიცხვო დანიშნულების რაოდენობას, იმ შემთხვევაში რიცხვ-რიგში შეტანილ უნდა იქნეს უმცირესი შემოსავლად ან ხარჯად ნავარაუდევი თანხა.

#### 4. აღრიცხვების და რიცხვ-რიგის ასრულება.

22. აღრიცხვის საბიუჯეტო თათბირში შეტანისავე (მუხ. 17) უწყებანი უგზავნიან საბიუჯეტო საანგარიშო სამართველოს საბიუჯეტო-საბუბრებლტერო განყოფილების შემოსავლის საკასო განრიგებათ — თითოს სამ ეკუთხებლიარად.

**შენიშვნა:** აღრიცხვით დანიშნული კრედიტები უნდა განაწილდეს საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებათა შორის, რაც შეიძლება ზედმიწვნითი შეთხნებით ადგილობრივ კრედიტების ნამდვილ მოთხოვნილებასთან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ხარჯთაღრიცხვის შედეგნის დროს, უწყებანი დააზიადებენ აღრიცხვების განსაკუთრებულ დანართებს, რომლებშიც მოავარი სააღრიცხვო განყოფილებათა (პარაგანაფების) დანიშნულებანი განაწილებულ უნდა იქნეს მაზრებ შორის; ეს დანართები განხილულ უნდა იქნეს სააღრიცხვო თათბირებში განსაკუთრებულის ყურადღებით და საფუძვლად უნდა დაედგას სახარჯო-საკასო განრიგების შედეგნას.

23. კრძა შემოსავალ-გასავლის განრიგებასთან ერთად საბიუჯეტო-საანგარიშო სამართველოს საბიუჯეტო-საბუბრებლტერო განყოფილებას ეგზავნება საერთო განრიგებანი, რომელიც შეიცავს სა-

ბიუჯეტო წლის იანვარ-დეკემბრის საჭირო დანიშნულებას.

24. საკასო განრიგებაში უნდა ჩატულ ტექსტის გბის, მუხლების და ლიტერების ნომენკლატურა, ხოლო ციფრების მხრით განრიგებათა შეერთებული ჯგუფი უნდა სავსებით უდრიდეს საბიუჯეტო თათბირისავის წარდგენილ-აღრიცხვებში აღნიშნულ თანხებს.

25. საბიუჯეტო თათბირში განხილვისათანავე — დატუვნებლივ — საკასო განრიგებანი, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა შესწორებულ იქნეს საბიუჯეტო-საანგარიშო სამართველოს საბიუჯეტო-საბუბრებლტერო განყოფილების მიერ, სათანადო უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად, საბიუჯეტო თათბირის დადგენილების თანახმად და ამას შემდეგ დაუყონებლივ უნდა დაუგზავნოს ასახულებლიდ საგანადო საკასო დაწესებულებას, ხოლო იმ თანხებიდან, რის თაობაზედაც თათბირში შეთანხმება არ მოხდა. საკასო დაწესებულებათავის გასაგზავნ განრიგებაში შეტანილ უნდა იქნეს შხვლოდ ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოხდა შეთანხმება, იმ პირობით კი, რომ, თუ გამოთხოვნილი თანხები საფეხით ნებადართულ იქნა, მათი განურიგებელი ნაწილისათვის შედგენილ იქნეს დამატებითი განრიგება.

26. გასწორებულ და დაგზავნილ განრიგებათა შეორე ეკუთხებლიარები საბიუჯეტო-საანგარიშო სამართველოს საბიუჯეტო-საბუბრებლტერო განყოფილების მიერ უნდა გაუგზავნოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს სამი კვირის განმავლობაში რიცხვ-რიგის დამტკიცების შემდეგ.

27. სატრიალებელი შემოსავალ-გასავლის საკასო განრიგება შედგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ცენტრალურ შემოსავალ-გასავლის კასისათვის; ამასთანავე კრედიტები უნდა დარჩეს სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებაში — კუთვნილებისამებრ.

28. ყოველთვიურად, ცენტრალურ უწყებათა მიერ დათვენილ გადაზედ, ყოველი ადგილობრივი დაწესებულება და წარმოება უგზავნის თავის ცენტრალურ ორგანოს ცნობებს მათ და მათ ქვემდებარე ორგანოთა მიერ სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და წარმოებისათვის, საანგარიშო თვის განმავლობაში, გაცემული ნედლი საქონლისა, სათბობისა, მასალებისა, ნაწარმოებისა, სასურსათო პროდუქტებისა, ფურაებისა და სახაზინო გამოცმათა შესახებ, — გაცემული საგნების ფულად ლირებულობის აღნიშვნით; სატრიანსპორტო დაწესებულებანი კი წარადგენ გადაზიდვის ანგარიშებს.

29. წინა მუხლში მოხსენებულ ცნობათა და ანგარიშთა შემოწმების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან მათი მიღებისა, ცენტრალური დაწესებულებების გასცემენ გადასარიცხვით ასიგნობანით (ან ჩეკებით) განკარგულებას საბიუჯეტო-საანგარიშო კრძა შემოსავალ-გასავლის კასისადმი, რათა გადარიცხულ იქნეს ხვედრით თანხები მათი (ცენტრალურ დაწესებულებათა)

კრედიტებიდან სახლმში შემოსავალში იმ უწყებათა სათანადო საშემოსავლო მუხლში, რომელსაც ფული ერგება. ამ წესითვე მოხდება ანგარიშების გასწორება ცენტრალურ დაწესებულებათა შორის.

**შენიშვნა:** ინსტრუქციები ცნობების, ანგარიშების და დოკუმენტების (მუხ. 28) შემოწმებისა, ანგარიშების გასწორებისა (მუხ. 29) და უწყებათა შორის მომხდარ შეუთანხმებლობის გადაწყვეტის შესახებ უნდა შემუშავებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსა და დაინტერესებულ უწყებასთან შეთანხმებით, და წარედგინოს, საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად.

30. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო კრედიტიდან ხარჯები გაიცემა — სახლმში წარმოებათა ფინანსიურად უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დეკრეტისამებრ და თანამდად ამა წესისა.

31. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო უგზავნის საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუნებრივო განკოფილებას ცნობას, თუ მის განკოფილებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებათათვის ავანსის მისაცემად რაოდენი საშუალება დაენიშნა და აგრძელებული ცნობას სააგნისო კრედიტების თაობაზე, რომელიც უნდა გაეხსნას განკოფილებათ, მთავარ სამმართველოებს და ცენტრებს მათი საკუთარი საოპერაციო და საწარმოო საქიროებისათვის.

32. განკოფილებანი, მთავარი სამმართველონი და ცენტრები, რომლების განკარგულებაშიაც გადადებულია კრედიტი, უგზავნიან საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუნებრივო განკოფილებას ცნობას ამ კრედიტის განაწილების შესახებ: ა) შეერთებულ ან მათვის უშუალო გამგებლობისათვის გადაცემულ წარმოებათა, ან მათ აღვილობრივ ორგანოთა შორის და ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკოფილებათა შორის. იმავე დროს ზემოხსენებული კრედიტების განკარგულებული აცნობებენ საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუნებრივო განკოფილებას თავიანთ ქვემდებარებულობათა საწარმოო გეგმებს.

33. 31—32 მუხლებში აღნიშნული ცნობების მიღების შემდეგ, საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუნებრივო განკოფილება გასცემს განკარგულებას საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებათადმი სათანადო კრედიტების (ანგარიშების) გახსნის შესახებ. საწარმოო განკოფილებათ, მთავარ სამმართველოებს და ცენტრებს ანგარიშები გაეხსნება ცენტრალურ შემოსავალ-გასავლის კასაში ან მის ფილიალებში; გართიანებულ ან განკოფილებასა და მთავარ კომიტეტებისათვის უშუალო გამგებლობისათვის გადაცემულ წარმოებათ — იმ დაწესებულებაში, რომელ

საც დაუნიშვნებ განკოფილებანი კრედიტის განმეორებელი და ადგილობრივ სახალხო შემონაბის საბჭოებს — ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ საანგარიშო და სააღრიცხვო საკასო დაწესებულებაში.

34. წინა მუხლში აღნიშნული განკარგულების საფუძვლით საანგარიშო და სააღრიცხვო საკასო დაწესებულებანი გაუხსნიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცალკედაწესებულებათ განსაკუთრებულ ანგარიშებს რიცხვ-ოიგის უოველი განკოფილებისათვის და წარმოებისა და დაწესებულების აღრიცხვის ყოველი მუხლისათვის. ეს ანგარიშები დანიშნულია მხოლოდ ხარჯების წარმოებისათვის და შეი სხვა თანხების ჩარიცხვა, გარდა კრედიტის აღსაღევნად შეტანილისა, არ შეიძლება.

**შენიშვნა:** ამ აღრიცხვების ანგარიშში გაცემული თანხების ჩისაწერიად საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს წიგნებში და ბალანსის აქტივში უნდა გაიხსნას „სახელმში წარმოებათა ხარჯების ანგარიში“ — სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განკოფილებათა, მთავარ სამმართველოთა და ცენტრო შორის ხარჯების განაწილების აღნიშნებით.

35. ხსენებულ ანგარიშებს (მუხ. 34) სარგებლობენ ჩეკების საშუალებით. ჩეკების ტექსტში უნდა იყოს ნიჩვენები — რიცხვ რიგის რომელი განკოფილებიდან და აღრიცხვის რომელი მუხლიდან უნდა მოხდეს ფულის გაცემა; იმ პირების გვარი, რომლებსაც მინდობილი აქვს ჩეკის ხელმოწერა, და მათი ხელმონაწერის ნიმუში უნდა ცენობის საესო დაწესებულებას უახლოეს უმაღლეს განმკარგულებლის მიერ (აღვილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოს ან საწარმოო განკოფილებების მიერ; ხოლო, თუ ანგარიში გახსნილია მთავარი სამმართველოთა, ცენტრების და განკოფილებათა სახელობაზე, — სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ) საანგარიშო და სააღრიცხვო საკასო დაწესებულებანი ანაღდებენ ჩეკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი შეეფერება რიცხვ-რიგის და აღრიცხვის იმ განკოფილების დანიშნულების საგანს, რომელსაც მოეწერება ის ხარჯი.

36. თუ ხარჯთაღრიცხვის რომელიმე განკოფილებით დანიშნული კრედიტი ამოიწურა, იმ ნაწილში მისი სარგებლობა უნდა შესწყდეს. ხოლო წარმოებას უფლება აქვს კრედიტის უახლოესი უმაღლესი განმკარგულებლის ნებადართვით გმოსწერის ჩეკი გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლიდან.

37. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებათ უფლება აქვთ, ფულის ნიშნების ხარჯის შესამცირებლივად, მოსთხოვონ წარმოებათა და დაწესებულებათ, რომლებსაც გახსნილი აქვთ ანგარიშები, მათ მათვის აუცილებლივ საწიროა ერთდროულად ნაღდ ფულად გამოიხოვილი თანხა. — უკეთუ ეს ცნობები

საკასო დაწესებულების მიერ არ იქნა დამაკმაყოფილებლად ცნობილი, იგი, თუმცა არ შეძენებს ფულის გაცემას, მაგრამ ამასთანავე აუწყებს მუშა-თა და გლეხთა ინსპექციის აღილობრივ ორგანოს და კრედიტის უხლოეს უმაღლეს განკარგულებელს, რომ მის-მიერ შემჩნეულია ანგარიშის მოხარ-გებლე დაწესებულების ესაში უნაყოფოდ მოგრო-ვება ფულისა და შედეგს ამა მიმართისას აცნო-ბებს საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს.

38. ცალკე წარმოებათათვის აღრიცხვის ანგა-რიში ავანსად გახსნილი კრედიტები უნდა დახუ-რულ იქნეს საანგარიშო და სააღრიცხვო საკასო დაწესებულების მიერ აღრიცხვით კრედიტების გახ-სნისათანავე; ხოლო საავანსო კრედიტიდან გაწყ-ული ხარჯები უნდა გადატანილ იქნეს ხარჯთაღ-რიცხვით გახსნილ კრედიტების ანგარიშებზედ; დაუხარჯავი ნაწილი საავანსო კრედიტისა უნდა აღდგენილ იქნეს კუთვნილებისამებრ—დაუყოვნებ-ლივ, —აღრიცხვის თანახმად, კრედიტის გახსნის შესახებ ცნობის მიღებისათანავე.

39. საწარმოო განკოფილებათა, მთავარი სამ-მართველოებისა და ცენტრების წარმოებათი ყო-ველი შემოსავალი უნდა ჩარიცხულ იქნეს საანგა-რიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულების მიერ, ამ წესის შესაბეჭიდებლივ მუშაობის თანახმად, სახელ-მწიფო შემოსავალში.

40. თანხების გაცემა წინა მუხლში აღნიშნულ შემოსავლიდან აკრძალულია.

41. ყოველი თვის დამლევს, არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა, საანგარიშო და სააღ-რიცხვო-საკასო დაწესებულებანი უგზავნიან კრე-დიტის უხლოეს უმაღლეს განკარგულებელს და— საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საშუალე-ბით— სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განკოფილებას — დაწერი-ლებიც ამონაშერს თანხებისას, როგორც სააქტივო, ისე საპასივო ანგარიშებიდან.

42. ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგა-რიშო თვის მომდევნი თვის ათი რიცხვისა, წარ-მოებანი უგზავნიან საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებათ ასლის იმ ცნობებისა, რომ-ლებისაც ისინი (წაომოებები) წარუდგენენ განმახი-გებელ ორგანოებს, მათ მიერ გამოშვებული პრო-ცენტებისა და ნაწარმოების რაოდენობისა და ღირე-ბულების შესახებ, ეს ცნობები საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებამ უნდა შეიტა-ნოს სათანადო წარმოების საწარმოო პირად ანგა-რიში.

**შენიშვნა:** გაერთიანებული წარმოებანი არ უგზავნიან საკასო დაწესებულებათ ცალკე ცნობას დამზადებული პროცენტების შესახებ, ხოლო წარუდგენენ თვიანთ მთავარ სამმარ-თველოს, რომელიც ამ ცნობებს უგზავნის სათანადო საანგარიშო და სააღრიცხვო-საკა-სო დაწესებულებას.

43. არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნი თვის 20 რიცხვისა საანგარიშო და სააღრიცხვო.

საკასო დაწესებულებანი წარადგენენ კრედიტების საანგარიშო სამმართველოს საშუალებით სახლები მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფინანსო-საანგა-რიშო განკოფილებაში წინა მუხლში აღნიშნული ანგარიშების ამონაშერებს.

44. აღრიცხვითა და რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები უნდა იქნეს დახარჯული მხოლოდ მათი დანიშნულებისამებრ. არც ერთ დაწესებულებას ან თანამდებობის პირს არა იქნეს უფლება თავისი ნე-ბით შესცვალოს კრედიტების დანიშნულება ან გადაიტანოს მათზე რიმე ხარჯი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული აღრიცხვის დამტკი-ცების დროს, გრძელ შემდეგ მუხლში აღნიშნულ გამონაკლისისა.

45. კრედიტის გადატან გადმოტანა პარაგრა-ფების ფარგლებში უნდა მოხდეს სათანადო სახლებო კომისარის განკარგულებით, რის შესახებ იმავე დროს უნდა ეცნობოს მუშაობა და გლეხთა ინსპექ-ციის.

46. ყოველ უწყებას და დაწესებულებას გან-საკუთრებულ მოვალეობად ჩაეთვლება უაღრესი სიუ-რთხილითა და მომკირნეობით მოეპყრის რესპუბ-ლიკის სახალხო საშუალებათა ხარჯებს. ამ მიზნის მისაღწევად ნებადართულია აღრიცხვებში და რიცხ-რიგში შეტანილ იქნეს მხოლოდ ისეთი კრედი-ტები, რაც საკიროო მუკილებლად პარტოოდენ პირები რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათი და განზრახულებათავის, რომელთა მეორე სა-ხარჯთაღრიცხვო პერიოდამდე გადადება სრულიად მოუხერხებელია და რომლებიც არა მარტო ფაქ-ტურად არის განსახორციელებელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, არამედ სიმათო ხარჯები გაწყულ უნდა იქნეს იმავე წელს.

47. არავითარი ახალი ხარჯი, —აღრიცხვით გაუთვალისწინებელი, არ შეიძლება გაწყულ იქნეს, თუ სამისოდ გამოთხოვნილი არ არის აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი.

48. აღრიცხვებისა და რიცხვ-რიგის მოქმედება უნდა შეწყდეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-ს. იმ დღესვე დაიხურება ყველა ამ აღრიცხვებით და რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები. იმ რომელი-ბისა, რაც დაუხარჯავი აღორჩინდება საანგარიშო და სააღრიცხვო-საკასო დაწესებულებაში. დაიხურება აგრეთვე უწყებათა, დაწესებულებათა, წარმოებათა და თანამდებობის პირთა ყოველი მიმღინარე ანგა-რიში, რომელშიც ჩარიცხული იყო საბიუჯეტო წლის სააღრიცხვო ასიგნობანი. არავითარი საშე-ღავთო ვადა კრედიტის მოქმედებისათვის არ შეი-ძლება ნებადართულ იქნეს, გრძელ სააღმშენებლო და კრედიტორთა სიით განგრძობილი კრედიტების ვალისა. უკანასკნელი კრედიტების ორივე კატე-გორია დაიხურება საბიუჯეტო წლის მომდევნი ივნისის 30-ს, რის შემდეგაც სააღმშენებლო კრე-დიტთა მოქმედების ვადის განგრძობა კრედიტორე-ბის სიით იყრინალულია.

**შენიშვნა:** სააღმშენებლო კრედიტიდან უნდა ჩაითვალოს ის კრედიტი, თუ ამის შე-

ხახებ გადაჭრით არის ნათქვამი აღრიცხვაში ან ხარჯთა განრიგებაში.

49. ხაზინის კრედიტორთა დასაქმაყოფილებლად ხვედრი თანხით კრედიტების განმკარგულებელნი შეადგენენ კრედიტორთა სიებს, რომელშიც სისწორით აღნიშვნენ კრედიტის აღრიცხვის განყოფილებას, ხარჯის საგანს და ყოველი კრედიტორის ხვედრი თანხის რაოდენობას. ეს სიები ეგზავნება კრედიტების განმკარგულებელი ცენტრალური დაწესებულების მიერ, საბიუჯეტო-საბუნებლორო სამმართველოს საბიუჯეტო-საანგარიშო განყოფილებას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ხოლო აღგილობრივ განმკარგულებელთა მიერ — აღგილობრივ საფინანსო განყოფილებათ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის აღგილობრივ დაწესებულებათა არა უვიანეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-სა.

50. მომქმედი აღრიცხვის ანგარიშით ავანსების გაცემა შესწყდება ნახევარი თვით აღრე, ვიდრე შესწყუბოდეს აღრიცხვის მოქმედება, ხოლო ავანსის ნაშთები უნდა შეტანილ იქნეს კრედიტის აღსაღენებად არა უვიანეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-სა, სააღმშენებლო კრედიტის ავანსის ნაშთი კი — საბიუჯეტო წლის მომლევნო ივნისის 30-სა.

51. საბოლოო წლიური ხარჯთა განრაგების დაგზავნამდე — ხარჯების დასაფარავდ საჭირო კრედიტის ასიგნობა გაიცემა ცენტრალურ შემოსავალგასავლის კასის და აღგილობრივი საფინანსო განყოფილებათის გაგზავნილი დროებითი ხარჯთა განრიგებების თანახმად.

52. დროებითი ხარჯთა განრიგებანი შედგენილ უნდა იქნეს ყოველი აღრიცხვისათვის ცალკალკე სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი საფინანსო აღრიცხვა, — ოთხი თვისათვის — (საბიუჯეტო წლის იანვარ-აპრილისათვის) იქ კი, რომ კრედიტები არ უნდა იქნეს განაწილებული თითო თვისათვის ცალკე.

53. საბიუჯეტო წლის იანვარ-აპრილის დროებითი ხარჯთა განრიგებას საფუძვლად უნდა დაედოს ყოველი პარაგრაფისათვის საბიუჯეტო წელიწადის წინა წლის სეკტემბერ-დეკემბრის კრედიტის სააღრიცხვო დანიშნულებანი, რომელთაც უნდა მიემართოს დროებითი განრიგების შედგენამდე აღრიცხვის გარეშე გახსნილი კრედიტების რაოდენობა.

54. თუ ამ წესით აღრიცხულ დანიშნულებას უწყება არა სცნობს საქმიარისად, მას შეუძლიან გააღიდოს იგი  $25\%$  თუ თავისევ გადაწყვეტილებით;  $50\%$  თუ — უწყების შეთანხმებით ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატებთან და  $50\%$  თუ — მეტად — ჩემილ იუციონური კომიტეტის ნებართვით. ხოლო წინასწარ — უწყებამ უნდა მიმართოს ამის შესახებ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატებს.

დროებითი ხარჯთა განრიგებანი უწყებათა მიერ ეგზავნება საბიუჯეტო საანგარიშო სამმარ-

თველოს საბიუჯეტო-საბუნებლოტერო განყოფილებას — თვითეული ოთხ-ოთხ ეკუმენიკური, აშშ ანუ ხვეში — ორს — უკანასკნელი, თავის შემთხვევაში — სამშენებლო უკანასკნელის მუშათა და გლეხთა ინსპექციის.

### 5. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი.

55. აღრიცხვათა ზედმეტი — რიცხვ-რიგის დამატებითი — კრედიტები გადაიდება იმ საჭიროებათა დასაქმაყოფილებლად, რომელთათვისაც რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები საკმარისი არ აღმოჩნდება, და იგროვე რიცხვ-რიგით გაუთვალისწინებელ იმ საჭიროებათა დასაქმაყოფილებლად, რისი გადადებაც მომავალ აღრიცხვამდე შეუძლებელია საქმის უკანებლად.

56. შეუძლებლობა აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გახსნის შესახებ უნდა შეცავდეს, გარდა კრედიტის საჭიროების აუცილებლობის საბუნებისა, აგრეთვე ცნობას, თუ აღრიცხვის რომელ განყოფილებაში უნდა იქნეს შეტანილი გამოთხოვნილი დამატებითი კრედიტი.

**შენიშვნა:** უკეთუ კრედიტით თავისი დანიშნულებით არ შეესაბამება არც ერთ სააღრიცხვო განყოფილებას, იმ შემთხვევაში იგი უნდა შეტანილ იქნეს განსაკუთრებულ პარაგრაფად.

57. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გამოთხოვნისათვის საფალდებულო — ნაჩვენები იყოს ის წყარო, საიდანაც უნდა იქნეს იგი (კრედიტი) ან-ასიგნი.

58. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გახსნა შეიძლება სამ წყაროდან: а) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნაციონალიზაციაში წარმოებათა და საოპერაციო ხარჯების დასაფარავ ფონდიდან, б) აღრიცხვათა და რიცხვ-რიგით დაზოგვილი თანხმებიდან და გ) ხაზინის ნალიდი საშუალებიდან.

59. აღრიცხვებითა და რიცხვ-რიგით დაზოგვილ თანხიდან და ხაზინის ნალიდი საშუალებიდან (მუხ. 58, პ. 2 და 3) აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი გამოთხოვლით უნდა იქნეს რევოლუციონური კომიტეტისაგან. უწყებანი, რომელიც აღძრავენ აღრიცხვის ზედმეტ კრედიტის გახსნის შეუძლებლობას, ვალდებული არიან დაუროონ თავის შეამდგომლობას ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების წერილობითი დასკვნა. უკეთუ შეუძლებლობა განსაკუთრებულად როცხულია, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ, წერილობითი დასკვნის მავის, მოთხოვნის მოწვევა საუწყებათაშორისო თაბირისა, რომელიც უნდა შესდგეს დაინტერესებულ და შემოწმებელ უწყებათა წარმომადგენლებისაგან.

60. სასწარით შემთხვევისათვის აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის დანიშნა (მუხ. 59) შეიძლება მოხდეს 25 მუხლში აღნიშნული წესის შეფარდებით, ე. ი. შემთხვებელ უწყებათა დასკვისათვათავე, იმ კრედიტების ფარგლებში, რომლის შესახებაც შეთანხმება მოხდა და იმ პირობით, რომ ამას შემ-

დევ დაუყონებლივ აღიძრას სათანადო შუამდგომ-  
ლობა რევოლუციონური კომიტეტის წინაშე.

61. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტები ნაციო-  
ნალიზაციაში წარმოებათა ხარჯების დასაფა-  
რავი ფონდის ანგარიშში გაიხსნება სახელმწიფო  
წარმოებათა ფინანსიურად უზრუნველყოფის დე-  
კრეტის წესით.

62. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტების მოქმე-  
დება განისაზღვრება იმავე ვადით, რომელიც დად-  
გენილია ჩეველებრივი აღრიცხვების კრედიტები-  
სათვის.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდიგარი.  
ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სეანიძე.

რევოლუცი. კომიტეტის  
მდიგარი ალ. სალარიძე

1921 წ. აგვისტოს 10.  
ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 54

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლ. კომიტეტისა.

საბჭოთა რესერვის დაშუებულთა დამხმარე ცენტრალური  
კომიტეტის დაანსების შესახებ.

1. საბჭოთა რესერვის დაშუებულთათვის დახმა-  
რების აღმოსაჩენად დაარსდეს საბჭოთა რესერვის  
დაშუებულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი  
შედეგი შედგენილობით:

ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე — ამს.  
ს. ქავთარაძე (საქ. კომ. პარ. ცენტრ. კომიტ. წა-  
რმომადგენ.) თავმჯდომარის მოადგილე ამს. ღო-  
ნენკო (საქ. კომ. პარ. ცენტრ. კომ. წარმომადგენ.)  
კომიტეტის წევრი ბ. კვირკველია (საქ. რევოლუცი.  
კომიტეტის წევრი) ა. ნემინოვი (ქ. ტფილისის  
კომ. პარ. კომიტ. წარმომადგენელი), სამოილოვა  
(ცალკე კავკასიის არმიის წარმომადგენელი), ძნე-  
ლაძე (ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის ცენტ.  
კომიტ. წარმომადგენელი), ბობოჩიძე (საქართვ.  
წითელი არმიის წარმომადგენელი), ჯულელი (სა-  
ქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოს წარმომადგე-  
ნელი).

2. ცენტრალური კომიტეტი ანგარიშვალდე-  
ბულია მხოლოდ საქ. რევოლუციონური კომიტე-  
ტის წინაშე, და თავის შემაობაში დამოუკიდებე-  
ლია სახალხო კომისარიატთაგან.

3. ცენტრალური კომიტეტს უფლება აქვს ისა-  
რგებლოს საბჭოთა ყოველი დაწესებულების აპა-  
რატები.

4. ცალკე კანკულარია და შტატი ცენტრა-  
ლურ კომიტეტს არა ჰყავს.

5. ცენტრალური კომიტეტის განკარგულება  
სავალდებულო საბჭოთა ყოველ დაწესებულებისა-  
თვის იმდენად, რამდენადც იგი ცენტრალური ხე-

ლისუფლების დადგენილებას არ ეწინააღმდეგება  
6. ყოველი კომისია, რომელიც დაასახილა  
იქნება აღვილობრივ პროფ. კავშირთან, ფაბრიკებ-  
თან, ქარხნებთან და სხვ., — მოქმედებს ცენტრა-  
ლურ კომიტეტის ხელმძღვანელობითა და კონ-  
ტროლით.

7. სამი დღის განმავლობაში ცენტრალური  
კომიტეტი უნდა შეუდგეს თავის მუშაობას.

საქართველოს რევოლუცი. კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდიგარი.

რევოლ. კომიტეტის მდგარი ალ. სა არიძა.

1921 წ., აგვისტოს 4.

ქ. ტფილისი, — სასახლე.

## დადგენილება № 56

საქართვ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

ცუადის მოსაქმეთა დროებით მობილიზაციის  
შესახებ.

რაღაც სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბ-  
ჭოს ტყავეულობის განცოფილება აწარმოებს სას-  
წაფით მუშაობას — ფეხსაცმელის დასამზადებლად,  
რისოვისაც საქიროა ტყავეულობის განცოფილების  
სახელოსნოთა შედება ტყავის მოსაქე სპეციალი-  
სტების საქმიო რიცხვი, — საქართველოს რევოლუ-  
ციონური კომიტეტი ადგენს:

1. გამოცხადდეს ქალაქ ტფილისში მობილი-  
ზაცია ტყავის მოსაქმეთა ასაკით 18-დან 54 წლა-  
მდე შემდეგი სპეციალობისა: მეჩექმეთა გამომჭრე-  
ლთა, დამზადებელთა და სარაჯთა (შორინივი)

2. მობილიზაციის ექვემდებარება:

ა) ის პირი, რომელიც კერძო წარმოებაში  
მუშაობს;

ბ) შინამრეწველი, რომელიც სახელმწიფო სა-  
კიროებისათვის არა მუშაობს;

გ) ის პირი, რომელიც თავის სპეციალობას არ  
მისდევს და

დ) ზემოაღნიშნული სპეციალობათა უმუშევა-  
რნი.

3. მობილიზაციით გაწვეულს უნდა შეენახოს  
ძველი სამსახურის ადგილი.

4. მობილიზაციით გაწვეულს მობილიზაციის  
განმაღლობაში უნდა ეძლეოდეს თავისი დამქირავე-  
ბლისაგან ნახევარი ის ჯამაგირი, რომელსაც იგი  
იღებს მობილიზაციის გამოცხადების დროს, აგრეთვე  
სასურასთო ულუფა შხოლოდ მისი ოჯახის წევრ-  
თათვის.

5. მინდოს შჩომის სახალხო კომისარს — შე-  
იძულებოს მოკლე ხანში დღიდან ამ დადგენილების  
გამოცხადებისა მობილიზაციის წარმოების წესი და  
ვადა.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რეს. რევოლუციურ კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდივანი.

შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე  
რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., აგვისტოს 10.

ტფილისი, —სასახლე.

## დადგენილება № 57

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ. კომიტეტის

ფურ სარგებლობის თაობაზე საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის  
აპრილის 19-ს თარიღითა და 41 №-რით გამო  
ცემული ბრძანების 1-ლი მუხლის შეცვლის  
შესახებ.

ვიდრე შემუშავიბული იქნებოდეს საერთო სა-  
ხელმწიფოებრივი გეგმა სატყეო მეურნეობის წარ-  
მოებისათვის მთელს რესპუბლიკაში, — საქართველოს  
რევოლუციონური კომიტეტი, — მის მიერ ამ 1921  
წლის აპრილის 19-ს თარიღითა და 41 №-რით  
გამოცემული ბრძანების 1-ლი მუხლის შეცვლის  
შესახებ:

1. მშრომელ მომხმარებელს ტყე მიეცეს ძირზე  
მდგარი ხის ფასად, რაც უნდა შევიდეს საერთო  
სახალხო ხაზინაში.

2. უღარიბებს მცხოვრებლებს და აგრეთვე სტი-  
ქონური უბედურებისაგან დაზარალებულთ ტყე  
შესაძლოა მიეცეს ძირზე მდგარი ხის ფასზე ნაკ-  
ლებ, ან სრულიად უსასყიდლოდ — მიწადმოქმედე-  
ბის სახალხო კომისარიატის ნებართვით; მხოლოდ  
ამისათვის საჭიროა წარდგენა სოციალური უზრუნ-  
ველყოფის სახალხო კომისარი ტის ორგანოთა მიერ  
დადასტურებული მოწოდებისა.

3. არამშრომელ მცხოვრებთა და სამრეწველო  
წარმოებათ ტყე უნდა მიეცეს ყოველთვის მტკიცე  
ფასებში.

4. მტკიცე ფასი ექვსჯერ უნდა იღემატებო-  
დეს ძირზე მდგარი ხის ფასსა.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რეს. კომიტეტის თავმჯდ. ბ. მდივანი.

მიწადმოქმედების სახ. კომისარი ფ. მახარაძე.

რეს. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., აგვისტოს 26.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

## გრძელება № 75 მოცემი სიმუშავისა

საქ. ს. ს. რეს. კომიტეტის

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის  
1921 წ. აგვისტოს 6-ს დადგენილებით, საქართვე-  
ლოს ს. ს. რ. უზენაეს რევოლუციონური ტრი-  
ბუნალის კოლეგის წევრებად დაინიშნენ ამ გ. ხუ-  
თულაშვილი და გ. ჩხეიძე.

ამს. ანულევიჩი განთვისუფლებულია უზენა-  
სი რევოლუციონური ტრიბუნალის კოლეგის წე-  
ვრის თანამდებობიდან.

საქ. ს. ს. რ. რევოლ. კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რეს. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. აგვისტოს 10.

ქ. ტფილისი, —სასახლე.

## გრძელება № 76

საქართ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის

საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის  
ამ 1921 წლ. აგვისტოს 11-ს დადგენილებით  
საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახალხო  
ბანკის მმართველი დაინიშნა იასონ მერაბისძე  
ლორთქიფანიძე.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის  
თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რეს. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., აგვისტოს 15.

ტფილისი —სასახლე.

## გრძელება № 77

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევო-  
ლუციონური კომიტეტის 1921 წ. აგვისტო. 11-ს  
დადგენილებით, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კო-  
მისარის მოადგილე ამს. ალექსანდრე კამარაშვილი  
განთვისუფლებულია ამ თანამდებობიდან და დაი-  
ნიშნა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის  
დაწესებულებათა ტექნიკური ნაწილის მოწესრიგე-  
ბის საგანგებო რწმუნებულებად.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. ფოსტა-  
ტელეგრაფის სახალხო კომისარის მოადგილე  
ონიშნა ამს. ალექსი კამარაშვილი.

საქ. სოც. საბჭოთა რესპ. რეს. კომიტეტის  
თავმჯდ. ბ. მდივანი.

რეს. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., აგვისტოს 26.

ტფილისი, —სასახლე.

## გრძელება № 78

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

1. საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლუციონერი კომიტეტის ამ 1921 წ. აგვისტოს 24-ის დადგენილებით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი ამ. ელისაბედაშვილი გადაყენებულია ამ თანამდებობიდან.

2. საქართველოს სოც. საბ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი დანიშნულია ამ. ელისაბედაშვილი.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდიგარი.

რევ. კომიტეტის მდიგარი აღ. სალარიდე.

1921 წ., აგვისტოს 27.  
ტფილისი, —სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტისა სახელმწიფო გამომცემლობის შესახებ.

1. განათლების სახალხო კომისარიატთან არსდება, როგორც მისი ერთი მთავარი სამმართველოთაგანი, სახელმწიფო გამომცემლობა.

2. სახელმწიფო გამომცემლობის სათავეში სდგას სარედაქციო კოლეგია განათლების სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით. თავმჯდომარეს ჰყავს ორი მთადგილი (სარედაქციო და სატექნიკო ნაწილისათვის).

3. კოლეგია უმაღლესი სარედაქციო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მოქმედი საშეცნერო, საწარმო, საპოლიტიკო და მხატვრული ლიტერატურის გამოცემისათვის.

გარდა მარტო სარედაქციო ფუნქციებისა, კოლეგია შეიძლება გამომცემლობის საერთო გეგმისა და სავარაუდო აღრიცხვებს; აძლევს სათანადო სახალხო კომისარიატის განყოფილებათ წინადაღებას ამა თუ იმ საპოლიტიკო სამეცნიერო ხასიათის საკითხისათვის ორიგინალური ნაწარმოების შედეგის შესახებ; წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ანაწილებს ნაბეჭდ მასალის რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე და განსაზღვრავს წესა და რიგს შემოსული მასალის დაბეჭდვისას.

**შენიშვნა:** პარტიული პერიოდული პრესის სარედაქციო ხელმძღვანელობა შეადგენს ამა თუ იმ პარტიის სრულ კომპეტენციას. — სახელმწიფო გამომცემლობას შეუძლიან მხოლოდ ტეხნიკურად შეუწყოს ხელი პარტიულ პრესიოდულ პრესის.

4. თავმჯდომარისა და მისი ორი შოთარების გარდა, კოლეგიაში შედის თითო წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, მიწადომელების სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, სასურსათო სახალხო კომისარიატისა, სამხედრო და სახლვაო სახალხო კომისარიატისა, განათლების კომისარიატის მთავარ და ცენტრალურ სამმართველოთა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. კოლეგიას მტკიცებს საქართველოს რევოლუციონერი კომიტეტი.

5. სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგია არსებს, საჭიროების და კოლეგიად, დროებითი და მუდმივ კომისიებს და აგრეთვე თავისი მიზნისათვის გამოიყენებს სახალხო განათლების კომისარიატის მთავარ და ცენტრალურ სამმართველოთა სათანა-დო აბირატებს.

6. სამუდაბდელო მიმღინარე მუშაობისათვის კოლეგია გამოპყოფს ბიუროს, რომლის შედეგის 3-დან 5 წევრამდე, სახელმწიფო გამომცემლობის თავმჯდომარის ერთერთი მოადგი-ლის თავმჯდომარეობით.

7. თავისი მუშაობის გეგმის განსაზღვრულად სახელმწიფო გამომცემლობას აქვს შედეგი განყოფილებანი:

ა) საერთო განყოფილება, რომელიც უნდა მოეწყოს იმავ საფუძველზე, როგორც სხვა მთავარ სამმართველოთა განყოფილებანი. ეს განყოფილება შესდგება საორგანიზაციო, საადმინისტრაციო და დამშარე ნაწილებისა-გან;

ბ) სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფი-ლება;

გ) სექსპედიციო (შექცევითი ცენტრი) განყო-ფილება;

დ) საგამომცემლო განყოფილება, რომელიც განაერებს გამოცემის ტეხნიკურ მხარეს.

8. სახელმწიფო გამომცემლობის სათანადო მოქმედებისათვის 75 პროც. იმ სავაზეთო-საწიგნო ქაღალდ-სა, რომელიც ქაღალდის განმანაწილებელ მთავარ სამმართველოს განკარგულებაშია, მიეკუთ-ვნება სახელმწიფო გამომცემლობას.

9. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილება შოვალეა პირველ რიგში აღსარებოს სახელმწიფო გამომცემლობის მიერ შეკვეთილი საქმე; ამასთანავე სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელი თვალყურს აღე-ნებს სასტამბო სამუშაოს თავის დროზე, აღსრუ-ლებას და გადამტკიცების შემთხვევაში მონაწილეობას იღებს ცალკე სტამბათა შორის სამუშაოს განაწილებაში.

10 სახელმწიფო გამომცემლობის აქვს თავისი განყოფილებანი ყველგან, სადაც არსებობს სა-ხალხო განათლების დაწესებულებებანი; ამასთანავე საგამომცემლო და საგანმანათლებლო ფუნქციებს განყოფილებანი ანხორციელებენ მხოლოდ ცენტ-რის ნებართვითა და წინადადებით.

11. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

ხა. ს. რ. რევოლუციონური კომი-  
ტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

განათლების სახ. კომისარი ა. თუმანიშვილი.

რევოლ. კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ., აგვისტოს 25.

ტფილისი, —სასახლე.

## შინაგან საქმეთა კომისარიატი

### გ რ ძ პ ე ბ ბ

ყველა დაწესებულებათა და კერძო პირთ, ვი-  
საც აქვს, წინადაღება ეძლევა შეიდი დღის განმა-  
ლობაში წარმოადგინოს რევისტრაციისათვის აღი-  
ლობრივი კომუნალურ განყოფილებაში ყველა სა-  
მუშაო ცეცხლის საქრობი საქანავები და აგრეთვე  
კინაფისა და რეზინის ცეცხლის საქრობი შლანგე-  
ბი, ყველა ზომისა და სისტემისა შემაერთებელი  
მუხრუქები, ბრადსპრიტები და სხვა საქირო საგნე-  
ბი საქანავისათვის. ქალ. ტფილისში რევისტრაცია  
მოხდება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
კომუნალურ მეურნეობის სამსართველოსთან ირსე-  
ბულ რესპუბლიკის ცეცხლიდან დამცველ განყო-  
ფილებაში.

შინაგან საქმ. სახ. კომისარი ბ. კვირკველია.

კომუნალურ მეურნეობის მთავრი

გამგე ხიდამონიშვილი.

რესპუბლიკის ცეცხლის ქვერამელი რაზმის  
ინსპექტორი ბერიძე.

ივლისის 6, 1921 წ.

ტფილისი.

### ი ნ ს ტ რ უ კ ც ი ბ

სამაზრო და ქალაქის რევიომებთან არსებულ  
შინა მართველობის განყოფილებათა გამგებ-  
ბის რეგულირებულ ურილობათა მოსაწყობათ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის იდ-  
გილობრივ ორგანოების მოღვაწეობის გასაერთია-  
ნებლად ამ მუშაობისათვის რესპუბლიკის ყოველ  
ნაწილში საერთო ხაზის გამოსამუშავებლად და  
მისი მსვლელობისათვის საერთო გეზის მისაცემად,  
აგრეთვე კომისარიატის აღილობრივი მოღვაწეო-  
თვის ცენტრის მიზნების საუკეთესოთ გასაშუალე-  
ბლად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გა-  
დაწყვეტილი აქვს მოწყოს რესპუბლიკის რევი-  
ლიუციონური კომიტეტებთან არსებული შინაგან  
მართველობის განყოფილებათა გამგების რეგუ-

ლიანული ყრილობები; ყრილობა გაიმართება  
შემდეგ საფუძვლებზე:

1. რესპუბლიკის რევიომების შტატების მიზნების ველობის განყოფილებათა გამგების ყრილობის იწვევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სამ თვეში ერთხელ, ყოველთვის სამაზრო რევი-  
ლების თავმჯდომარეთა ყრილობის წინასწარ; მათი  
მოწვევის ვადას საინსტრუქტორო-საინფორმაციო  
განყოფილება აცნობებს სამაზრო რევიომებს ყრი-  
ლობის დაწყებამდე ათი დღით ადრე.

2. საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყო-  
ფილება წინასწარ ამზადებს სათანადო მასალის  
და იმუშავებს ყრილობის დღიურ წესრიგს, რაც ეგზანენება სამაზრო რევიომებს ყრილობის მოწვე-  
ვის ცნობასთან ერთად.

3. ვინაიდან აღილობრივი რევიომების შინა-  
გან მართველობის განყოფილებანი განაგებენ სა-  
ხალხო კომისარიატის საერთო, საინსტრუქტორო-  
საინფორმაციო, იძულებით მუშაობის, სამოქალა-  
ქო მდგომარეობის სიველების ჩაწერის და აღმი-  
ნისტრატიულ ერთეულების და ს. ქვეგანყოფილე-  
ბათა საქმებს, ამიტომ კომისარიატის საინსტრუქ-  
ტორო-საინფორმაციო განყოფილება ყრილობის  
მოწვევის დღეს, ორი კვირით ადრე, აცნობებს,  
კომისარიატის ზემოაღნიშნულ განყოფილებებს და  
გამოითხოვს მათგან ყრილობის განსახილველი სა-  
ქმეთა სიას.

4. ყრილობის წესრიგში შეტანილ უნდა იქ-  
ნის საკითხები შინაგან საქმეთა სახალხო კომისა-  
რიატის მხოლოდ საერთო, საინსტრუქტორო-საი-  
ნფორმაციო, იძულებით მუშაობის, სამოქალაქო  
მდგომარეობის სიველების ჩაწერის, და აღმინის-  
ტრატიულ ერთეულების განყოფილებათა მოღვა-  
წეობის სფეროისა,

5. თუ კომისარიატი საჭიროდ დაინახავს დღი-  
ური წესრიგში შეტანილ იქნება საკითხი პოლი-  
ტიკურ მდგომარეობის და საზოგადოთ ყველა იმ  
საგანთა შესახებ, რომლებიც მოხსენებულია რევ-  
კომთა თავმჯდომარების ყრილობათა ინსტრუქციის  
მე-3 მუხლში (იხ. „მომბე“ № 11)

6. ყრილობა გაიხსნება მოხსენებებით აღგი-  
ლებიდან, რომლებსაც წერილობით წარუდგენენ  
საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას  
და სიტყვიერად მოხსენებენ ყრილობის შინაგან  
მართველობის განყოფილებათა გამგენი.

7. მოხსენებანი აღილებიდან დაწყრილებით  
უნდა იმოსწურადეს ყრილობის დღიურ წესრიგს  
და ეხებოდეს მაზრის ყოველ სახის რევიომთა მუ-  
შაობას, განსაკუთრებით შინაგან საქმეთა სახალხო  
კომისარიატის იმ ინსტრუქციის მე-3 მუხლ. ჩამო-  
თვლილ პარველ ოთხ განყოფილების მუშაობის  
სუეროში, რისთვისაც ცალ-ცალკე უნდა იქმნას  
განსილული:

ა) საერთო ქვეგანყოფილების საქმეთა მდგო-  
მართველი კანცელარიის და აღმინისტრატიულ მარ-  
თველობის მოწყობის ხაზგასმით.

ბ) საერთო დახასიათება საინსტრუქტორო-სა-

ინფორმაციო ქვეგანყოფილების მუშაობისა მაზრაში კანონიერების ასრულების მხრივ.

გ) საზოგადო მუშაობის და სხვა და სხვა სახის ბევრის, თანახმად შრომის კომისარიატის ინსტრუქციების მოთხოვნილებებისა, მათი გატარების მდგომარეობა, ამ მუშაობის შესაფერხებელ და ხელშემწყობ მიზეზების აღნიშვნით; იძულებით მუშაობის ბანაკთა მოწყობის მდგომარეობა; მითითება ისეთ გარემოებაზე, რომლის განხორციელებას უჟერლიან ხელი შეუწყოს ამ ლიტერში აღნიშნულ საქმეთა ჯეროვან ნიაღვზე დაყენებას.

დ) სამოქალაქო მდგომარეობის სიგელების ჩაწერის ქვეგანყოფილებათა მუშაობა.

8. გარდა ამისა მოხსენებანი ადგილებიდან უნდა შეიცავდეს ცენტროეგავის ადგილობრივ განყოფილებათა მუშაობის განხილვას და ისეთ მაზრათა შესახებ, სადაც იგი არ არსებობს, საერთო ცნობებს მაზრაში თუ ქალაქში შეხიზულ ლტოლვილთა რიცხვის შესახებ, მათი ეროვნების, ქონებრივი მდგომარეობის, დროებით დასახლების რაიონების და აგრეთვე მათი და ადგილობრივი მცხოვრებლების ურთიერთშორის განწყობილების აღნიშვნით.

9. მოხსენებები უნდა ეხებოდეს ადმინისტრატორულ გადამიჯვნის საჭიროებას თუ იგი არსებობს მისი ეროვნული, ეკონომიკური, საერთო პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებებით და დასაბუთებით.

10. აქვე უნდა მოყვანილ იქმნას ცნობები მცხოვრებთა აღრიცხვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის მავნე პორების და საერთოდ მეტ-ხორცი ელემენტების განკვრძოების და ბოროტ-მოქმედებათა (დეცერტირობა, ყაჩაღობა, სპეკულიაცია და სხვ.) საწინააღმდეგო ზომების შედეგების შესახებ.

11. მოხსენებაშივე შეიძლება აღნიშნულ იქმნას რომელიმე კუთხის ან ქალაქის საზოგადოებისათვის გამოუსადეგარი პირებისაგან გაწმენდა-გაუსახლების საჭიროება; ხოლო სადაც უკვე შეუდგნენ ამ ზომის განხორციელების ყრილობას უნდა მოხსენდეს ცნობები ამ საქმის მიმღინარეობის შესახებ.

12. თუ ყრილობის წესრიგში შეტანილ არ იქმნა ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლში აღნიშნული საკითხები, იმ შემთხვევაში მოხსენებას დართვის მოკლე განხილვა მაზრის მცხოვრებთა პოლიტიკური განწყობილებისა.

13. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქციო საინფორმაციო განყოფილება, ყოველი ყრილობის მოწვევის წინ ყრილობისათვის წარსადგენად ამზადებს საერთო ხასიათის მოხსენებას ყველა რეკომის შინა მართველობის განყოფილების მუშაობის შესახებ უკანასკნელი სამითვის განმავლობაში, რომელშიც განსაკუთრებულად აღინიშნება სუსტი და უკანონო მხარეები განყოფილებათა მუშაობისა და აგრეთვე მისი შედარება წინა დროის მუშაობასთან.

14. წინა მუხლში აღნიშნული ხასიათის მოხსენებს წარუდგნენ ყრილობას ყველა ის განყო-

ფილება, რომელიც მოხსენებულია ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლში, სამაზრო რეკომის წარსადგენი დაქვემდებარებულ განყოფილებათა შემდეგის ესები სახებ.

15. თუ თანახმად ამ ინსტრუქციის მე-3 მუხლისა, კომისარიატის რომელიმე განყოფილების წინადადებით ყრილობის წესრიგში შეტანილ იქმნება რიმე საკითხი, მის განსამარტებელ მოხსენებას ყრილობას კომისარიატის სათანადო განყოფილება წარუდგენს.

16. შინა მართველობის განყოფილებათა გამგების ყრილობას სათაბირო ხასიათი აქვს და მისი დადგენილებანი მხოლოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის დამტკიცების შემდეგ განხორციელდება საერთო წესით.

17. შინა მართველობის განყოფილებათა გამგების ყრილობას განყოფილებათა გამგების ნაცვლად შეიძლება შინა მართველობის კოლეგიის რომელიმე წევრი დასწროს რეკომის თავმჯდობარის დანიშვნით, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილებას უნდა წარედგინოს მოხსენება თუ რატომ თვით განყოფილების გამგე არ ესწრება ყრილობას.

18. ყრილობა გრძელდება არა უმეტეს სამიღლისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

პ. კვირკელია.

საინსტრუქციო-საინფორმაციო განყოფილების გამგის მოად. შ. დადგინი.

29-VIII-21 წელი

ქ. თფილისი.

## ცირკულიარი

ცეცხლა სამაზრო ხევებში.

თანახმად საქართველოს რეკომის თავმჯდომარის განკარგულებისა, წინადადება გეძლევათ რეგულიარულად წოაწოდოთ საქართველოს ცენტრალური რეკომის საინფორმაციო განყოფილებას შემდეგი ცნობები:

1. რეკომის სხდომის ყველა ოქმების, კერძოდადგენილებათა, ცალკე ღონისძიებათა ასლები და მნიშვნელოვანი ფაქტები რეკომის მუშაობისა.

2. ყველები კვირაში წარმოგზავნილ უნდა იქნეს ცალკე ცნობა შემდეგი სახელმძღვანელო ინსტრუქციის მიხედვით:

ა) მცხოვრებთა სასურათო მდგომარეობა.

ბ) მოხავალი.

გ) ხალხის სულიერი განწყობილება.

დ) მცხოვრებთა დამოკიდებულება მთავრობისადმი.

ე) ცენტრალური ორგანოების პარატის მუშაობა.

ვ) მიწის კომიტეტის მუშაობა და მისი შედეგები.

ზ) გლეხების დამოკიდებულება ამ მუშაობას-

თან და მთი განცხადებანი.

თ) სწავლა-განათლების საქმე.

კ) პროპაგანდა.

ლ) გლეხთა საჩივრების ხასიათი: უზრუნველის და სახელმწიფო და წესებულებათადმი, შედარებითი ნუსხა საჩივრების ჩაიდენობისა ამ დაწესებულებათადმი.

აღნიშნული ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნეს რევკომის საინფორმაციო განყოფილებაში შემდეგი მისამართით:

თბილისი, სასახლე საქართველოს რევკომის საინფორმაციო განყოფილება, და მთი ასლები კი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი ბ. კვირკველაძე.

საინ. საინფორმაციო განყოფილების  
გამგე ლამბაშიძე.

## დადგენილება № 30

9 აგვისტოს 1921 წლ.

ოცდა ხუთი სოფლის რევკომის წარმომადგენელთა ურილობის შეამდგომლობის თანახმად, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში საბჭოთა ხელისუფლების მართვა-გამგეობის და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, დაადგინა:

1. გორის მაზრის ცხინვალის რიონში დაწესდეს ხუთი სათემო რევკომი შემდეგ ქვემოდ დასხელებულ სოფლებში:

- ა) ქვემო აჩაბეთში,
- ბ) ზემო აჩაბეთში,
- გ) ღიცში,
- დ) ძარწევში და
- ე) თანათში.

2. ა) ქვემო აჩაბეთის თემს შეადგენს სოფლები: დგვრისი, თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, კვერნეთი, და მონასტერი; ბ) ზემო ნიქოლის თემს: ქვემო ნიქოლი, ზემო ხვითი, დვანი, აცნევი და ნული გ) ღიცის თემს: კოდი, არბო, გრედვი, ბერლეთი, ტირნისი, მელვაკეკისი და ერგნეთი; დ) ძარწევის თემს: ქვემო ტირ, ხეითი, სვერი და ე) ვანითის თემს: საცხენეთი, ბელლითი და აწრის ხევი.

3. ამ დადგენილების ასლი გაეგზვნოს გორის მაზრის რევკომის და გრეოვე რესპუბლიკის მთავარ მილიციის სამართლელოს სათანადო განკარგულების მოსახლენად.

შინაგან საქმეთა სახალხო

კომისარი ბ. კვირკველაძე.

ადმ. ერთ. განყოფილების

გამგე გრ. გველესიანი.

## სრვნარკომის „ნაკადის“ შესახებ.

დღეს უურნალ „მოამბეში“ იმექდება სოფნარკომის „ნაკაზი“ საბჭოთა სახალხო მეურნეობის

ახალი მიმართულების ცხოვრებაში გატარების შესახებ. ეს „ნაკაზი“ სოფნარკომის მიიღო 1921 წელის 1 იანვრის დღის მინახული საქუთრებულ საბჭოთა მთელმა შეებამ. თავდაპირველთ „ნაკაზი“ შეადგინა ც. კ. პოლიტბიურომ, რომელშიაც შედიოდნენ: კამენ-ვი, ანდრეევი, რიკოვი და ბოგდანოვი და შემდეგში გადაეცა განსახილველად ყველა პროფესიონალურ ფრაქციების საერთო კრებას, რომელმაც დაადგინა „ნაკაზი“ თეზისების გადაცემა განსახილველად თითეულ კავშირის ცენტრალურ კუმიტეტისათვის და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გაერჩია ის პროფესიონალურ ფრაქციითა საერთო სხდომას. უკანასკნელ სხდომაში მიიღეს მონაწილეობა სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კომუნისტურმა ფრაქციებმა. დაბოლოს „ნაკაზი“ განიხილა ყველა პროფესიონალურ ფრაქციების აღმასრულებელ კომიტეტების საერთო სხდომაში, რომელსაც დასტურო 50 დღეგამის. ამ სხდომაზე საბოლოოთ მოღებულ იქნა „ნაკაზის“ თეზისები და განსაკუთრებულ სარედაქციო კომისიის მიერ განხილვის და ც. კ. პლენარულ სხდომის მიერ მიღების შემდეგ ამა. კამენ-ვი ის სოფნარკომს. აქედან სჩანს, რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ „ნაკაზს“ საბჭოთა რესპუბლიკების მეურნეობისათვის. როდესაც თავდაპირველად გაისმა ხმა ახალი ეკონომიკური კურსის შესახებ, ბევრი გაოცდა და არც კი წარმოდგინათ თუ როგორ შეიძლებოდა მეურნეობაში კერძო ინიციატივის შეგუება საბჭოთა ხელისუფლებათან. ამ მხრივ „ნაკაზი“ წარმოადგენს იმ გასაღებს, რომლის საშვალებით ჩვენ ვრწმუნდებით რომ ეს შეთვისება არ თუ შესაძლებელი, კიდევ მეტი, დღევანდველ პირობებში ეს ახალი კურსი წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკის დაქვეითებულ მეურნეობის აღმოჩენების ერთადერთ საშვალებას. ამ მხრივ სოფნარკომის „ნაკაზი“ უნდა შეიქმნეს საბჭოთა ეკონომიკურ დარგის მოღვაწეთა უმნიშვნელოვანების სახელმძღვანელოთ.

## სახალხო კომისარობა საგჭრის ნაკადი აზალი ეკონომიკური კოლეციის საბუძავლებელის გა პრეზიდენტის უსახელობაზე.

1. პარტიის მე-10 ყრილობამა და სრულიად რუსეთის პარტიულმა კონფერენციამ შეიმუშავეს ძირითადი დებულებანი ჩვენი ახალი საეკონომიო პოლიტიკის. უნდა აღნიშნოთ, რომ დასახულ დირექტივების განხორციელება საბჭოთა ორგანიზაციების სამეურნეო მუშაობაში, სათანადო დეკრეტების გამომუშავება და პარტიის და საბჭოთა მუშაკების ფართო მასშების მიერ ახალ საეკონომიო პოლიტიკის ძირითად დებულებათა — ძლიერ ნება პხევდა და არ მიმდინარეობს იმ ტემპით, როგორაც ქვეყნის მეურნეობის მდიდე მდგრადებების მოითხოვს. ეს სიმძიმე განსაკუთრებით გაძლიერდა

სსსურსათა კრიზისის გამო, რამაც გამოიწვია თა-  
ვის მხრით ამჯამად არსებული უცები დაცემა მთელ-  
რიგ მეურნეობათა დარგებში—1920 წლის დამ-  
ლევთან შედარებითაც კი ეს დაცემა საგრძნობია.  
პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და კავშირებმა  
უნდა მიიღონ უკიდურესი ზომები დღევან დელ  
მდგომარეობიდან გამოსავლელად, რაიც შეიძლება  
მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ უკვე დამტკიცებულ  
პარტიულ დირექტივებს ახალი საკონიმიო პო-  
ლიტიკის შესახებ საქმიანად და ენერგიულად გინ-  
გახორციელებთ.

2. ეკონომიკური პოლიტიკის და სახელმწიფო ეკონომიკური მრეწველობის ორგანიზაციის ახალი გეზის დროს აუცილებელია პროფესიურული, ხოლო მათი საშუალებით თვითმეტების უფრო გადაჭრილი ჩარევა წარმოების გვარითთველობის ორგანიზაციის, შრომის ორგანიზაციის და სხ. საკითხების გადაწყვეტაში.

პროფესიულების მუშაობა საესებით უნდა  
ეთანხმებოდეს ეკონომიკურ პოლიტიკის ახალ გეზეს  
მსხვილი მრეწველობის აღსაღვენად და გასამაგ-  
რებლად, მათი როგორც ფართე აღმზრდელობი-  
თი მასიური მუშაობის მიმართულებით, ისე წარ-  
მოების და შრომის ორგანიზაციაში პროფესიულ-  
ების მონაწილეობის მხრივ, სამუშარეო მიზანშე-  
წონილობის და ანგარიშის პრინციპის საფუძველზე.  
თავის სატარიფო პოლიტიკაში და მუშათა მომა-  
რაგების პოლიტიკაში პროფესიულები მიზნად ისა-  
ხვენ მუშების განსაკუთრებულ უშუალო დაინ-  
ტერესებას.

3. ჩევნი ցյոნომიური პოლიტიკა დღევანდ  
ლამდე ხასრათდებოდა არსებითად შეწლევი ნიშან-  
დობებით:

ა) საბჭოთა სახელმწიფო იმულებული იყო  
განვითარებული უამრავი სხვადასხვა ტიპის წარმოებანი, რო-  
მელთა ხარჯი გაცილებით არ ეთანაბრებოდა იმ  
ნედლებულ და სასურსათო მარაგს რომელიც იმყო-  
ვებოდა სახელმწიფოს განკარგულებაში. ამის შე-  
დევნებად იყო სახელმწიფოს განკარგულებაში შეკვე-  
მარაგის საზრისანი სამეცნიერო გამოყენების შეუძ-  
ლებლობა და მისი დაქუცმაცება, დამონება; ბ) წარმოებათა მომარაგება დანაწილებული იყო სხვა  
და სხვა დაწესებულებათა შორის და არ იყო უშე-  
ალოდ დაკავშირებული წარმოების ნაყოფიერებას-  
თან. შედევნებად მივიღეთ მრავალ ხელისუფლებინობა  
და უპასუხისმგებლობა. გ) მომარაგების ამ შე-  
თოვების და შრომის ხელფასის არსებულ პირო-  
ბების დროს წარმოების მონაწილეობი არ იყვნენ  
და არ შეიძლება ყოფილიყვნენ დაინტერესებულნი  
თავიანთი შრომის შედევნით და წარმოების მეთო-  
დების გაუმჯობესობაში. დ) სამოწლის სამხედრო  
კითხრების და ქვეყნის უკიდურესი განადგურების  
მეოხებით, შეუძლებელი იყო შედევნა და განხორ-  
ციელება მთლიანი სამეცნიერო გეგმისა, რომელიც  
გააქრისტიანებდა და შეათანხმებდა სახალხო მეცნი-  
ების სხვა და სხვა დაზევებს.

4. სახელობრივი მეცნიერების შემდგომი დაქვემ-

თების ახალი გენებლად, აუცილებელია შემდგროვება  
მები იქნეს მიღებული:

ა) სახელმწიფო-სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სახით და მისი აღვილობრივი ორგანოები თავს უყრის თავის უშუალო გამგეობაში წარმოების ცალკე დარგებს და განსაზღვრულ რიცხვს მსხვილ ან რაიმე მიზეზით სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან, აკრეთვე მათი დამხმარე წარმოებათ, რომელიც, ურთიერთს ასრულებდნ, ბ) ეს წარმოებები წარიმართება სწორი სამეურნეო ანგარიშის საფუძვლზე. გ) წარმოებათა დაწყება და წარმართვა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მისი აღვილობრივი ორგანოების მიერ დასაშვებია მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიაც, საერთო სახელმწიფოებრივი გეგმის თანხმად უზრუნველყოფილი იქნებიან ნივთიერი, სასურსათო და ფულის მარავით, როგორც ზოგად სახელმწიფოებრივი ორგანოებიდან, ისე სხვა წყაროებიდან (თვით დამზადება, თავისუფალი ბაზარი და სხვა.)

იმაზე დამატების მიზნით, რასაც იძლევა სახელმწიფო, წარმოებებს ან მათი ხელმძღვანელ ორგანოებს უფლება ექვევათ გაანალიზონ საკუთარი ან დამხმარე წარმოების თითეულ დარგისათვის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფარგლებში, მომარაგების საჭირო საგნების შესაძენად როგორც შიგნით ისე საზღვარ—გარედ (იხ. პ. 12), ამასთან ნედლეული და სათბობი მასალა მზადდება საკუთარი აპარატის შემწეობით, ხოლო სურსათი (კენტროკენტრის საშუალებით. დ) მუშათა მომარაგების ყოველი სახე, სპეცტანისამოსისა, შედის სამუშაო ხელფასში (კოლექტიური გასამრჯელოს საფუძველზე), ამასთან წარმოებათა აღნიშნულ ჯგუფის მუშები უნდა იქნან უზრუნველყოფილი იმ ზომამდე, რომელიც დააინტერესებს მათ წარმოებაში და მათი მხრით თაოსნობას გამოიწვევს ნაყოფიერების აწევაში. მომარაგება განაწილდება როგორც ცალკე მუშებს, ისე ჯგუფებ შორის მაგნარდი მომუშვევთა შორის და სხ.) მათ მიერ მიხსეულ საწარმოო შედეგების მიხედვით; პ) მუშათა მომარაგების საქმე როგორც სურსათით, ისე სხვა ნივთებით სპეცტანისამოსით სწარმოებს ყველა მომმარაგებელ ორგანოების მიერ წარხნის მმართველობის საშუალებით, რომელიც ღებულობს აუცილებელ საგნებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასრულებს უმაღლეს ორგანოს წინაშე დაკისრებულ საქმეს. საქარხნო მმართველობისათვის განაწილების ღრის სავალდებულო პროფესიონალების მიერ დაწესებული ნორმები. გაუთვალისწინებელ შემთხვევებისათვის და ნორმების გარეშე დასაჯილდოვებლიდ, სახელმწიფო სდეგის საქარხნო მმართველობა. იძლევა შემდგომი კონტროლის წესით.

5. წარმოებები, რომელნიც ვერ მოხვდნენ

ზემოც ნაჩვენებ ჯგუფებში, იჯარის შესახებ დეკრეტით და სახალხო მეურნეობის უმღლეს საბჭოს ინსტრუქციით გათვალისწინებულ საფუძვლებზე, უნდა იყვნენ იჯარით გაცემული კომპერატივებს, ამანაგობებსა და სხვა გაერთიანებებზე, და აგრეთვე კერძო პირებზედაც. აქედან წარმოებების და მრეწველობის მთელი დარგების გამოკლებას აწესებს სამ. უმ. საბჭო და მისი ორგანოები. საბჭოთა ორგანოებმა ურევვად და ენერგიულად უნდა გაატარონ ცხოვრებაში დეკრეტი იმ დაწესებულებათა იჯარით გაცემის შესახებ, რომელთა ამჟავება და შენახვა საბჭოთა სამეურნეო ორგანოებს არ შეუძლიათ, ამით ხელი უნდა შეუწყონ სახელმწიფო მინისტრის განტვირთვას წყრილი წარმოებისა და ქარხნებისაგან.

6. წარმოებები, რომლებიც საიჯარო ვერ იცემა, ხოლო მათ წარმართვას სახელმწიფო და მისი ორგანოები ვერ კისრულობენ, უნდა დაიხუროს, მუშები და მოსახლეობურები კი განაწილებიან სახელმწიფო საქმეზე მომუშავე წარმოებებში და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო უმუშევრად დარჩენილები შრომის განკუთვილებათა აღრიცხვის იქნებიან აყანილნი და სახელმწიფოსაგან იღებენ დამხმარებებს.

7. უყურებთ რა საშინაო და წვრილ წარმოებას, როგორც სახელმწიფო მრეწველობის და გლეხურ მეურნეობის დამხმარებელი, საჭიროდ იქნას ცნობილი პირებების შექმნა, რომლის დროს შინამრეწველებს და ხელოსნებს შეეძლებათ წესიერად განავითარონ თავაზოთ წარმოება და თავისუფლად გამოიყენონ თავისი შრომის პროცესები.

წვრილ და საშინაო მრეწველობის განვითარების და ორგანიზაციის საქმეში საჭირო გარკვეულად და მტკრცელ სვლით წვრილ მწარმოებელთა შეკავშირების გზით, უნდა გადამუშავონ იქნას, სადაც ეს ტენისებურად და მეურნეობის თვალსაზრისით შიზან შეწონილი, კომპერატიულად მოწყობილი შინამრეწველობა მსხვილ სამრეწველო წარმოებებთან.

აუცილებელია შეიქმნას ხელისურელი პირები პირველ რიგში წვრილ და საშინაო მრეწველობის იმ დარგებისათვის, რომელიც მსხვილ მრეწველობის მოთხოვნილებათ აქმაყოფილებენ, ან სახელმწიფოს დავალების ასრულებენ, ან მუშაობენ მომხმარებელ კომპერატიულის.

8. რ. პ. კ. ს. ც. კომიტეტმა უნდა შექმნას მთელი რიგი კომისარები, საიჯარო საკონკრეტო, და სხვა, სახელმწიფოს ხელში არ მყოფ წარმოებათ მუშების კოფა-ცხოვრების საკითხების გამოხარკვევად, საფუძვლად უნდა იქმნეს მიღებული კავშირებსა და წარმოების აღმინისტრაციის შორის დადგებული კოლექტიური ხელშეკრულებანი;

9. აღილობრივი სამეურნეო ორგანოებმა (საგ. ს. პ. ს.) მათ გამგებლობაში მყოფი წარმოებები დაუყონებლივ უნდა დაყონ წარმოებებად; რომელიც რჩებიან მათ მმართველობაში, გაიცემიან იჯარით ან მუშაობენ განსაკუთრებული ხელშეკრულებითი საფუძვლებზე; ამ ჯგუფების მიმართ შე

საფრისად უნდა იქნას გამოყენებულნი ყველა ზოგი მოღნაშისენები დებულებანი.

10. მოუსავლობასთან დაკავშირებით გამოიიჩინა, რომ სასურსათო გადასახადის განზრახული შემთხვევაში მთელ რიგ ოლქებში ვერ დაფარდეს სახელმწიფოს მოთხოვნილებას პურში, რომლის ნაკლებობა შეიძლება შევსებულ იქნას შინაურ ბაზარზე საქონლის გაცვლის განვითარებით. მეორეს მხრივ, საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარების მიღების ქოლექსა და სოფელს შორის მოითხოვენ სახალხო მეურნეობის აღდგენის ინტერესები საერთოდ და ფულ-ს ტრიალისა კერძოდ. ყველა ამის გამო ზომები უნდა იქნეს მიღებული სახელმწიფოებრივი და კომპერატიული საქონლის გაცვლა-გამოცვლის განვითარებისათვის, ამასთან არ უნდა შევზოდოთ ჩენი თვითმმარებელი აღგილობრივი ტრიალის ფარგლებით, უნდა მიღმართოთ, სადაც ეს შესაძლებელია და სახარებებლი ფულის საშვალებით გაცვლის ფორმას.

11. ჩენი ფულის კურსის აწევისა და სიმჭიდრის მიზნით აუკილებელია გატარებულ იქნას მთელი რიგი ზომები ფულის უკან დაბრუნებისათვის სახელმწიფოს სალაროში. აქ ჩენი გამოვდივართ იმ პირიცხიდან, რომ სახალხო მეურნეობის დარგში სახელმწიფო თვისი სახელმწიფოებრივ რესურსების არსებული მდგრამბრეობის დროს და მისი ძირითადი დარგების აწევამდე მაინც, რამე სამეურნეო დახმარებას მუქთად ვერავის გაუწევს. მის სალებ ზომათი შორის ყურადღება უნდა მიექცეს გამსესხებელ შემნახველ სალაროების გახსნას, საკრედიტო მპერაციის მოვარეობას, კომუნალური წარმოებათი გადასვლის საფასურის გაღების საფუძველზე და სხვა.

12. საზღვარ-გარეთთან სავაჭრო დამოკიდებულობის განსავითარებლად სამეურნეო მუნიციპალიტეტების უფლება უნდა მიეცეთ მონაწილეობა მიმღებ ხელშეკრულებათ დადგების და მათი რეალიზაციაში, აგრეთვე უფლება — იყოლიონ თავისნით წარმოდგნლობა საგარეო გაჭრობის სახ. კომისარიატის საზღვარ-გარეთოლ ორგანოებთან.

13. ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილების ებლანდელს მომენტში სახელმწიფოებრივი გეგმის კომისიის დაკისრებული აქეს განსაკუთრებით საბაზებისმგებლო მოცანა ზოგად სამეურნეო გეგმის სასწრავო გამოსამუშავებლად და მრეწველობის ინტერესების შესათანხმებლად სასოფლო მეურნეობასთან, ტრანსპორტთან, სურსათთან და სხვა, რისათვის სახ. გეგმის კომისიის განსაკუთრებით უნდა დაისახოს მიზნად, უმოკლეს დროში მოადინოს სიცოცხლის უნარმქნე ძირითადი წარმოებათ და მრეწველობის ცალკე დარგების სწორი შეჩრევა, მათი უდიდესი საწარმოო შემჭიდროებით, შრომის უნარიანობით, კონცენტრაციით, განზრახული დამკარგელი მიმართულების მიღებით მნიშვნელოვან წარმოებათ და მეურნეობის დარგებისათვის ამასთან მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რაიონების განსაკუთრებული ხელშეკრულებითი საფუძვლებზე: ამ ჯგუფების მიმართ შე

შეთაბებულ წარმოებათა პრინციპთა სარგებლიანობა.

14. ყველა ზემოთ ნაჩვენებ კონომიური პოლიტიკის განხორციელების დროს საჭიროა სხვა და სხვა სამეურნეო საბჭოთა დაწესებულებების ფუნქციათა და კომპეტენციების სწორი განსაზღვრა. შრომის და თავდაცვის საბჭო უნდა იყოს კონომიური პოლიტიკის საერთო ხელმძღვანელი, რომელიც სახ. გეგმის კომისიის საშუალებით აღგენს მთლიან საშეურნეო გეგმას და ათანაბებს კონომიური კომისარიატების გეგმებს. აგრედვე თვალყურს ადევნებს საშეურნეო გეგმის შესრულებას როგორც მთლიანად ისე ყველა მის ნაწილებში.

ს. მ. უ. ს. არის ორგანო (კომისარიატის უფლებებით), რომელიც საქმიანი წესით ატარებს შრომს და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებულ გეგმებს და საქრთო სამეურნეო დირექტორებს მრეწველობის დარგში. შრომის და თავდაცვის საბჭოს საჭარბო დავალებათა გატარების დროს მრეწველობის მმართველობის ყველა ორგანიზმის აწევთ სასტრიკ პერსონალური პასუხის მემკლება სასამართლოს წესით, მათვის მინდობილ წარმოებათა

ზემოდ ნაჩვენებ სამეურნეო საფუძვლების მოწყვეტილობის დროს მოიხსენება მუშარ-გლებურ ინსტაციის წინასწარი კონტროლი.

15. ყველა ზემოდ ნაჩვენებ დებულებათა ცხოვრებაში გატარება, კერძოთ განსაზღვრა წარმოებათა, რომელიც რჩებიან სახელმწიფოს უშუალო გამგებლობაში, გასაკემია საიჯაროდ ან დასაკედი, აგრედვე მომარაგების ნორმების და შრომის ხელფასის განსაზღვრა წარმოებს პროფესიონალურ უშუალო მონაწილეობით.

შრომის და თავდაცვის საბჭო, ს. მ. უ. საბჭო და სხვა უწყებანი დაუყონებლივ შეუდგებიან ამ ნაკაზისაგან გამომდინარე მთელ რიგ დეკრეტების და ინსტრუქციების გამომუშავებას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვლ. ულიანოვი. (ლენინი).

სახ. კომ. საბჭ. საქმეთა მართვ.

მაგიერ გ. სმოლიანინოვი.

სახ. კომ. საბჭოს მდივანი ლ. ფოტიევისა.

## არა-ორგანიზაციური განეოფეილება.

### ქავასის გუბერნიის მთამბე საკითხი \*)

კავკასიის რესპუბლიკები, როგორც ვიცით, საბჭოთა ხელისუფლებამ ეკონომიურად გააერთიანა. ამ ვაერთიანებულ რესპუბლიკათა წარმომადგენლებს ამას წინად ჰქონდათ საერთო საეკონომიკო თაობირი, რომელზედაც განიხილეს მრავალი საყურადღებო საკითხი, იმპერიალისტურ მისა და რევოლუციის შემდეგ არსებულ მეურნეობის დაცემის მიზეზები და საშუალებანი. არკვევდნენ, თუ როგორის საშუალებით აღადგინონ საერთო კონომიური კეთილდღეობა და როგორ გამოიყნონ რაციონალურად ის სიმდიდრენი, რაც ასებობს სამთავრე რესპუბლიკაში. საკითხებზე მოხსენებებს კითხულობდნენ საერთო, საკავკასიო მასშტაბით — გამოხენილი მცოდნენი და სპეციალისტები და თაობირმაც მიიღო რამდენიმე საყურადღებო რეზოლუცია, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია.

ერთ-ერთ ფრიად დიდ პრობლემას წარმოადგენს საკითხი კავკასიის, ან უკვეთ, სამი რესპუბლიკის მელიორაციისა, რადგან თაობირმა განხილა ეს საკითხი საქართველოს, აზერბაიჯანის და

სომხეთისათვის საერთო თვალსაზრისით, რადგან მისი აზრით — ეს სამი რესპუბლიკა წარმოადგენს მთლიანს ეკონომიურ ერთეულს, თვითეფულ ზემოხსენებულ სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთზე მჭიდროდ არის გადახლართული და დამოკიდებული.

სამწუხაროდ, როგორც მოხსენებიდან და შემდეგ რეზოლუციიდან სჩანს, თაბირზე საქართველოს მელიორაციის საკითხი რამდენადმე ცალმხრივად ყოფილი გაშექებული: კერძოდ — მხოლოდ იმ აღილების მორწყვის თვალსაზრისით, სადაც უწყლობაა. იმ აღილების მოსავლელია კი, სადაც პირიქით, წყალის სიმრავლე ვნებს საქედაც თაობირს არ უშსჯელნია და არც რაიმე რეზოლუცია მიუღია.

მელიორაცია, ამ სიტყვის ფართოდ გაგებით, ჰინაუგს საერთოდ მიწის, ნიადაგის ყოველნაირ გაუმჯობესებას, მისი ნაწარმოების თვისებრივ და რაოდენობის გაზრდას, პიღრავლიკურ, გ. ი., მორწყვის, წყლის გაცვანის, ტბების ამოშრობის, კალაბოტის გაკეთების და სხვ. საშუალებით. ან და კიდევ ტყის გაშენებით, მდინარეების ჯებირების გაკეთებით, განსაკუთრებულ მცნარეების დათესვით და სხვ. თაობირს კი, როგორც სჩანს რეზოლუციიდან, მიუღია მთელი რიგი პუნქტებისა, რომელიც ეხება კავკასიის სამ რესპუბლიკის ტერიტორიის მხოლოდ უწყლი აღილების მორწყვას. მართლაც მე-4 პ. რეზოლუციია ამნარისა: „რეალურ და ძლიერ ტეხნიკურ ბაზად რესპუბლიკათა საწარმოვთ ძალია გასაძლიერებლად — უნდა

\*) რადგან ჯერჯერობით საქართველოში არ გამოდის სათანადო დანიშნულების უზრნალი, — რედაქცია ბეჭდას ამხ. სარაჯიშვილის წერილს საღისეურების მიზნით. გურიის და სამეგრელოს ერთი ნაწილისათვის ამ საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს და სასურველია მიეცეს მცოდნე პირებს მისი გაშექების საშვალება.

აღვიძიროთ ფართო ელექტროფიკაცია და მელიორაცია კავკასიის მხრის უზრუნველყოფისა და მდგრადი მდგრადი მელიორაციის თაობაზე მიღებულ რჩხოლიუციასაც მხედველობაში აქვს მხოლოდ უზრუნველყოფი კავკასიის, განსხვაურებით მისი აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილები.

ამნაირად დასავლეთ საქართველოს ფართო ტერიტორიის ამოშრობა, ტერიტორიისა, რომელიც უშესალოდ მკვრის ზღვას და რომელსაც უდიდესი, ცხოველი შენიშვნელობა აქვს მთელი მხარისათვის — თაბირის მხედველობაში არ მცუდია. ამ საკითხს კი საქართველოსათვის და მაშახადე მთელი კავკასიისათვის აქვს ისევე დიდი შენიშვნელია, როგორც უზრუნველყოფის საქმეს და შეიძლება უფრო საყურადღებოც იყოს საწარმოვა ძალთა გაძლიერების თველთხოვისით. და თუ თაბირის აღიარა გადაუდებლად მუდანის გელის 75 ათას უზრუნველყოფის მორწყვა, საიდანაც თაბირის აზრით, შეიძლება მიღება  $4\frac{1}{2}$  მილიონ ფუთ პურისა, ამაზე ნაკლებ გადაუდებელი არა ამოშრობა რომის ქვემო აღვილებისა, რაც წირმოადგენს სხვა და სხვა ხორბლეულობის კულტურას, შეიცავს შეტეს ტერიტორიის, მოვალეობის უფრო შეტეს პურის და თანაც ჭობების ამოშრობით ხალხს გავანთვისუფლებთ არ ბიროტებასაგან: 1) მოსახლეობა მაღიარია, მთელი დასავლეთ საქართველოს ბარის მცხოვრებთა უბედურების მიზნი და და 2) შემცუბუქდება მიწის ნაკლებობა, რაც ისე ძლიერი არსალა, როგორც ქუთაისის გუბერნიაში, თუნდ იმაზე რომ არა კათევთ რა, რომ ამ ზომის განხორციელების შემდეგ ძლიერ გაიზრდება საექსპორტო შენიშვნელობა ბათუმისა და უკათხოს.

ნამდებოდა რომ ესთევთ, ამოსაშრობია მხოლოდ დიდი ტერიტორია ქობიან აღვილებისა ფოთს გარშემო, რაც დაახლოებით 80.000 დუსეტინას შეადგენს. ეს აღვილები დღეს სრულიად გამოუსადევარია ხვნა-თესვისათვის. საერთოდ კი ფართო ტერიტორია რომის ქალებისა და მისი შენაკადებისა, ფოთიდან მოყოლებული ვიზრე სამტკრედიამდე — საქიროებს სხვა და სხვანირ მილიორატიულ ზომებს, განსხვაურებით რომის მდინარეობის რეგულიაციას, რადგან იყი წალევავს ხოლმე დიდად ნათესებს და თითქოს ფართო ტბად აქცევს უშველებელ ტერიტორიას. რომის მოვარდნა შეუძლებელს ქუთა ყოველგვარ სოფლის მეურნეობის წარმოების ზემოსენგმულ აღილებში.

ეს წყლის ზედმეტობა აიბსინება იმით, რომ აქ წვიმები ძლიერ ხშირია და წყლიწადში უდრის 1200—2500-მდე რიცხვს, ზოგს წყლიწადს ამასაც აქარბებს ხოლმე. საქართველოს მდინარენი, მთებიდან წამოსული, ქუთაისის გუბერნიის ბარ აღვილებში იცვლიან მდინარებას, ნელა მიღიან, აქეთ-იქით იფანტებიან, ჰქენიან ფართო ტერიტორიაზე მრავალ ჭობებს რამდენსამე ათას დღესტინის მანძილზე და ერთი აღვილიდან მეორეში გადასვლის აბრკოლებენ. ამის შედეგი ისაა, რომ

ეს უმდიდრესი მხარე, პროფ. ფიგუროვსკის გადაუკვლევით, მშენებირი სუბტროპიკული კლიმატის +14° — გადაცეული დამპალ ციების (მაღარის) ბუდედ და მისგან იტანჯებიან არა მარტო ადამიანები, არამედ ცხოველებიც. ეს დიდი უბედურება, რომელიც სხვა და სხვა სახით გამოიხატება ხოლმე, სტანჯავს აღვილობრივ ცხოველებლებს, იწირავს მრავალ უნაყოფო შრომებს, ხოლო უცხოველებს უკარგავს ყოველგვარ ხალის რაიმე საქმე დაიწყონ იქ, ან კაზიტალი დაბანდონ. მაღარით ავადმყოფობა პროცენტულად საშინელ ციფრებს გვიჩვენებს. მაგალითად 1913 წლის გამოანგარიშებით ეს პროცენტი ასეთი იყო: ბათოში — 43%, ფოთი — 49%, ახალ-სენაკი — 47%, სამტკრედია — 51%, და სხვ. საერთო პროცენტი შევი ზღვის კავკასიის ნაბირებზე უდრის 60%-ს. ეს იყო წინად. გხლანდელი ციფრები უფრო მეტი უნდა იყვნეს.

ასეთი უბედური მდგომარეობა მცხოვრებთა დამკიდებულია ქაობიან აღვილებსა და იმაზე, რომ იქმური მდინარენი ხშირად კალაპოტიდან გაღმოდიან. ფოთის მდიდამოების ქაობიან აღვილების ამოშრობა, მდინარეთა კალაპოტების ოეგულიაცია და მუდმივი შეტერიოლოგიური დაკვირვებანი, მოვარდინილ წყლისათვის გზის გავალვა უპირველებიდ ყოვლისა ხელს შეუწყობს ამ მხარის გაჯანსალებას და განთვისუფლებას მას უდიდეს ბოროტების — მაღარითისაგან.

თუმცა საბჭოთა ხელის უფლებამ თავისი აგრძელი რეფორმით ერთნაირად შეამსუბუქა მიწის ნაკლებობა ჩვენში, გადასცა რა გლეხებს ყოფილ მემამულების და ზოგან სახელმწიფო მიწები, მაგრამ მიწის კრიზისი რახეკვირველია ამით ძლიერული არა. მიწის ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როდესაც უაღრესად დაინტერესებული ვართ, რომ ნათესობის გაფართოება-გზაზრდა მოხდეს. ქუთაისის გუბენია, რამდენიმდეც იქიდან ეხლა ცნობებია მოსული, ამ მხრით ცუდ მდგომარეობეში. მიწის ნაკლებობა ყოველთვის მშვავები იყო იქ, ეხლა კი, მიუხედავად გლეხთა მიწის რაოდენობის აბსალიუტურად გადიდებისა — მთელ მცხოვრებთ მიწა მაინც არ ჰყოფნით. ამას ნათლიდან მოწმობს ის, რომ ამ უკანასკნელ დროს გლეხები სოფლის მეურნეობის გარეშე ეძებენ ხაშუალებებს, რათა აინაზღაურონ ის დანაკლისი, რაც მათ ედებათ მიწის სიმცირის გამო. იმდევად მცირეთ თვითონ სულზე საშუალო რაოდენობა მიწისა, რომ გლეხს უხდება ათასგარებად ცაცალის, რომ თავის ერთი ბეჭა მიწას რაც შეიძლება შეტე გიმოაღებინოს. ყოველ უცხის გადაღვმაზე შეხვდებით გლეხთა ყანებზე, რომ ლობით და მუხუდი სიბინდს აეფოთლება, რადგან მცხოვრებთ არ აქვთ საშუალება ცალკე სოესონ ისინი. რასაკეთორეველია ასეთს კომბინაციების არ შეუძლიანონ ხელი შეუწყობს ზემოსენგმულ პროდუქტების გაუმჯობესებას. თუ კი ამოვაშრობით ჭაო-

ბებს, ან გავანთავისუფლებთ წალეკვის შიშისაგან  
ზოგიერთ ადგილებს, შეიძლება მივიღოთ მრავალი  
ათეული ათასი დღესტინა საუკეთესო მიწისა, რა-  
იც, რასაკვირველია შეამსუბუქებს მიწის ნაკლე-  
ბობას, ხოლო მეორე მხრით სოფლის მეურნეობის  
რამდენიმე მილიონ ზედაც პროდუქტს მივიღეთ.

რაც შეეხება, ამო შერთვის მნიშვნელობას შევი ზღვის ნაკთსაღვურებისათვის, ეს ყველასათვის ცხდი უნდა იყვეს, რადგან ექსპორტი ყოველთვის პირდაპირ დაპოვიდებულია ამა თუ იმ მხარის წარმოებასა და კეთილდღეობაზე.

ასეთია ის მოსაზრებანი, რომელიც ვკიარნა-  
ნახებენ რიონის ქვემო კალაპოტის მელიორაციის  
გადაუდებლობას. ეს მუცილებლად უნდა შეკი-  
ნოთ და რაც შეიძლება მათი განვახორციელოთ.

## ლ. სარაჯიშვილი.

ՀԱՍՏԱՊՈՍ Ե. Զ. Ե. Ե. Ի. ՍԵՐԵԼԵՐ  
ԹԱՐԱԿԱՐՑՈՒՄ ԱԽԱԼՈ ՍԱՑՔԻ.

სრულიად რესეტის სახლებთ მდებრნეობის სა-  
ბჭოს ახლახან დასრულებულ მე-Х ყრილობაზე  
აღინიშვნა ახლი მიმართულება ჩვენი სამდებრნეო  
აღმშენებლობითი მუშაობის ისტორიაში.

როგორც თავისი გადაწყვეტილებით, ისე საკითხის გაშუქებით 10 ყრილობა არსებოთად განსხვავდებოდა უწინდელი სამი ყრილობისაგან. მაშინ, როდესაც წინა ყრილობებზე რამდენიმე მესამე ყრილობის გამოკლებით მთლიანად განხილულ და გათვალისწინებულ იქნა ჩევნი ეკონომიკური პოლიტიკა სურსათისა, სასოფლო მეურნეობისა, ტრანსპორტისა და სხვათა შესახებ მოხსენებანი და თვით ყრილობას, თვისი შემადგენლობის შიხედვით, უფრო პოლიტიკურ — ეკონომიკური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკულ საქმიანობის, უკანასკნელი ყრილობა, რომელიც განსაკუთრებით შესდგებოდა მუშათა მხრიდან გამოსულ პრაქტიკოს — ორგანიზატორებისა, აღმინისტრატორებისა და ტექნიკოს-სპეციალისტებისაგან, — თავის სამუშაოს დაუხალოვდა წმინდა საქმიანობის მხრივ, მიიღო რა გადაწყვეტილების საფუძვლად საბჭოთა მე-VIII ყრილობისა და რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-X-თვე ყრილობის მიერ შემუშავებული ძირითადი დებულებანი ჩევნი ეკონომიკური პოლიტიკის (სასოფლო მეურნეობის, სასურსათო გადასახადის, სატარიფო პოლიტიკის და სხ.) შესახებ.

თუმცა ყრილობის მუშაობის შედეგი არც  
ისე ნაყოფიერი გამოდგა, როგორიც სისურველი  
იყო, მაგრამ ამაში ყრილობას ვერ ვუხაუკედუ-  
რებთ. ამის მიხედვით იყო, ქრისტის მხრივ, ძლიერ  
მოკლე დრო ყრილობისათვის მოსამზადებლად,  
მეორეს მხრივ და უმოაგრესიდ, საერთო გაუჩივე-  
ვლობა და ბუნდოვანება ჩვენი სამეურნეო პოლი-  
ნებლობის პრინციპების პრაქტიკულად ცხოვრებაში  
გატარებისა.

ჩვენი პარტიის მე-Х-ოე ყრილობითან ისეთი

მცირე დრო გავიდა, რომ ჩვენ ვვრ მოვასწერთ  
სათანადო გამოცდილების მიღება. მრავალი ანრი,  
შევიგნეთ ის პრატიკული შედეგებზე, რომელიც  
მოაქვს სასურსათო გადასახადის შემოღების,  
შეურნეობის ყველა დარგში. ამიტომ ნა-  
დორევი იქნებოდა, მოვვეთხოვა ყრილობისაგან  
მხატვარეული ნათელი პასუხი ცხოვრების მიერ  
წამოყენებული უმძიმეს საკითხების შესახებ, რო-  
გორიც, მაგალითად, არის: წვრილი და ოჯახური  
წარმოება, მომზარებელი და მწარმებელი კოოპე-  
რაცია, ნედლი მასალის და საობობის მომზა-  
დება, მუშებისათვის პროდუქტების მომარავება,  
პათი შრომის ანაზღაურება და სხ. ამისგანმიუხედა-  
ვად, სახალხო მეცნიერების საბჭოთა ყრილობამ, ამ  
საკითხებზე პაინც მოვვარა საქმაოდ მოსახრებუ-  
ლი და ზოგ შემთხვევაში, დეტალურად დამუშავე-  
ბული პასუხი. (მაგალითად: რეზოლუცია წვრი-  
ლი და მსხვილი მრეწველობის შესახებ ამ. მა-  
ლიციტინის მოხსენების გამო, მუშაობა შინაური  
და კოოპერატიული, წარმოების და მომარავების  
სექტიკის და სხ.).

ურილობამ უფრო კონკრეტულ და ნათლიად  
დასახა სახალხო მეცნიერების საბჭოს მომავალი ორ-  
განიზაცია. უკუკილო რა ყველა მეორებარისხოვანი  
ფუნქცია, მაგალითად: მთლიანი სამეცნიერო გეგმის  
შედგენა და მის სისრულეში მოყვანის დროს  
ცალკე დაწესებულების და უწყების მუშაობის-  
თან შეთანხმება). უარი სთქვა რა ქვეყნის მთელი  
სამეცნიერო პოლიტიკის ხელმძღვანელობაზე და  
მიკუთვნა რა ყოველივე ამისათვის საგანვიტოდ  
შექმნილი ორგანოებს როგორც, მაგალითად, შრო-  
მის საბჭოს და სახელმწიფო გეგმის, ყრილობაშ  
თავისი რეზოლუციით საორგანიზაციო საკითხე-  
ბის შესახებ, განისაზღვრა უფრო ვიწრო, მაგრამ  
უფრო ნათელი და გარკვეული როლი ისეთი ორ-  
განოსი, რომელმაც უნდა განაიღოს ქვეყნის მთელი  
გადამზუშვებელი და ამომღები (სისოფლო მეცნიერების  
გამოკლებით) მრეწველობა იმ გეგმის ფარგ-  
ლებში, რომელიც მისცემს მას სათანადო უმაღ-  
ლესმა სამეცნიერო და პოლიტიკურმა ცენტრებმა.

დღეიდან სხვლხო მეურნეობის უმაღლეს  
საბჭო ხდება მრავალობის ნამდილ სახალხო კო-  
მისარიატათ, რასაც გარკვევით მშობს მიღებული  
რეზოლუცია. ამით უკვე მიღწეულ იქნა სრული  
მთლიანობა, მიზანშეწონილება და გვემის თანა-  
ზრობა სახალხო მეურნეობის მართვაში, ამითვა  
აკტომატიურად ისპობა მთელი რიგი სრულიად  
ზედმეტ საუწყებათა შორისო ბუფერების, სხვადასხვა  
კომისიის თათბირის და მსგავსი დაწესებულებანი.  
ამის შედეგ იქნება ბოლო მოედოს ჩენი აპარა-  
ტების ბიუროკრატიზმს, დაზნეულობას და სხვა  
მიუწვდომელობას ნაკლ.

სახალხო მეცნიერების უმაღლესი საბჭო, დღვი-  
დან ღებულობს ნათლად შემთხვევლს, შეკუმშულს,  
საქმიანობის შესაფერს, პრაქტიკული მუშაობის-  
თვის გამოსაღევ სტრუქტორის.

ჩვენ სიმოვნებით ვეგებებით ყრილო-

ბის გადაწყვეტილებას. იმის შემდეგ, რაც ნათლად გამოირკვა, რომ გახანგრძლივებულ სამოქალაქო ობის ნიადაგზე, პირველად განზრა-ხულ ფართე უფლების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გვერდით, აღიზარდენ არა ნაკ-ლები სიღიღის და მნიშვნელობის კომისარიატები, ასეთი გადასვლა ისტორიულად აუცილებელი გახ-და, რადგან წარმოუდგენელი იყო დამბალი სქე-მის, შიშველი პრინციპის, წინასწარ აღებული აზ-რის გულისათვის, იმისათვის რომ რესპუბლიკის მეურნეობის უმაღლეს ცენტრად ყოფილიყო მხო-ლოდ და მხოლოდ სახალხო მეურნეობის უმაღლე-სი საბჭო, უკან მოვაკეტრიალებია ცხოვრების მიერ განვლილი ნერევის გზაზე, ძლივდლიობით აშენე-ბული და მოწყობილი ოჩანოები.

ერთად ერთ წარმოსადგენ და აუცილებელ გზად გახდა მეორე გზა, რომელზედაც დადგენ ჩევნი უმაღლესი პოლიტიკური ორგანოები სამეურნეო აღმშენებლობის დარგში ახალგზაზე გადასვლის შემდეგ, იმ გზაზე, რომელი გზაც აერთიანებს ყვე-ლა ეკონომიკურ ნარკომატებს, მათ რიცხვში სა-ხალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს (მრეწველო-ბის სახალხო კომისარიატს) შრომის და თავდაც-ვის საბჭოს ირგვლივ, მათგან ამ ნარკომატების სამეურნეო პროცესი ფუნქციების მომწესრიგებე-ლი ორგანოების გამოყოფით.

ჩევნ იხლახან შევდექით ამ გზაზე, ჯერ კი-დევ ბევრი საქმე გვაძევს გასავლელი და ბევრი და-ბრკოლება დასაძლევი, როგორც, მაგალითად, ძველი საუწყებო რეტინა, ბიუროკრატიზმი, ცხოვრების კარნახისათვის ანგარიშის გაუწევლობა. მაგრამ იძისდამიუხდავად, ჩევნ მტკიცეთ ვანხორ-ციელებთ განზრახულ მთლიან სამეურნეო ცენტ-რის შექმნას და სახალხო მეურნეობის საპროცე-სურობის მიერ შიღებული გადაწყვეტილება, სა-გრძნობლად დაგვეხმარება, ამ საქმეში.

ძველი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭო-დან გადავდივართ ახალ სახალხო მეურნეობის სა-ბჭოზე, რომელიც სწრაფად იზრდება ჩევნი თვა-ლის წინ. შრომის და თავდაცვის საბჭოების სა-ხით, ჩევნ აუკილებლად უნდა გადავიტანოთ იქ სამეურნეო პროცესის და საერთო მეურნეობის გეგმის შემუშავების საერთო ხელმძღვანელობის ყველა ფუნქცია, საჭიროა მთელი ხაზის გასწერივ დაკავშირება მისი დაგილობრივ; აგრეთვე მასვე მჭიდროდ უნდა დაუკავშიროთ ს. რ. პ. კავ. ს. და ჩევნ მივიღებთ, ახალი ფორმით, სახალხო მე-ურნეობის იმ უმაღლეს საბჭოს, რომელსაც ჩევნ ვისახავდით სქემებში 1917 წ. ოქტომბერში, და რომლის შექმნას ტუუილად ვცდილობდით ძველი სა-ხალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სახით, მრისხანე სამოქალაქო ომის ფარგლებში.

ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოების მეოთხე ყრილობას არ შეეშინდა გარ-კვევით გამოეტქვა 17 დებულება, რომ მან არ მისცა არავის ნება შეებოჭათ იგი კონსერვატიზ-

მით და ძველი უშინარსო ფორმის დაცვის ტექნიკური ცხად ჰყოფს ამ ყრილობის უმთავრეს დამატებულებების შესაბამის გადასაცავის მიზანით. ა. კაკტინი.

ლტოლვილების მოძრაობა და მათი რეეგა- კუაციის საქმე ჩვენში.

## I

1914 წელში დაწყებულმა ომმა ბევრი ოჯა- ხის მარჩენალი მუშაკი მოსწყვიტა საქუთარ მიწა- წყალს და იძულებული გახადა შორეულ აღილებ- ში გადახვეწილიყო. საკუთარ სამშობლოდან ლტო- ლვა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა: სამ ობლოს სტოვებდენ ზოგი ნებაყოფლობით, თავის სურვი- ლით, ზოგი კი იძულებით საომრათ, ან სხვა სა- ხელმწიფოებრივი მოთხოვნილებისა გამო. ამ გა- რემოვებამ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ერთსა და იმავე აღვილას თავს იყრიცენ ათასობითა და ათი ათასობით ლტოლვილთა რიცხ- ვი უფრო მეტი იყო იმ აღვილებში, რომლის ახ- ლო-მახლო ომი სწარმოებდა. სანამ სახელმწიფო- ებრივი აპარატი შერყეული არ იყო და სურსათისა და ტრანსპორტის საქმესაც არა უშავდა-რა, ლტო- ლვილებიც პოულობდენ თავის გამოკვების საშუა- ლებას, ან კიდევ მათი გადაუვან-გადმოყვანის სა- კითხი ბუნებრივად სწყლებოდა და სახელმწიფოს ნაკლები ზრუნვა სპირლებოდა. მაგრამ შეირყა თუ არა ტრანსპორტის საქმე, მას ზოგიერთ აღვილებ- ში თან მოჰყვა სურსათის სიმკირე, მოელი თავისი მწვავე შედეგებით. ამას კი ხელი შეუწყო უმთავ- რესად, ომის ხანგრძლივობამ, რაც უმთავრესათ ჰქმნიდა, ერთის მხრით, მუშა ხელის სიცოტავეს, ხოლო მეორეს მხრით, ყოველ გვარ მომჭირნეობის უარყოფას, ეკონომიკურ სფეროში და აუარებელ სურსათ-სანოვაგის ხარჯვას.

საკუთარ მიწა-წყალს მოვლებული ლტოლვი- ლები უცხო აღვილებში, საერთოდ ეკონომიკური პირობების გამწვავების გამო, აუტანელ მდგომა- რეობაში ჩავარდენ, ან ქონებრივმა სიღარავე ისი- ნი იძულებულ ჰყო ვერ მოჰყრობოდენ სათანადო ყურადღებით პიგინურსა და სხვა მოთხოვნილე- ბების დაკმაყოფილების საქმეს და ამ გვარათ, იმის გარია, რომ თვით ლტოლვილები განიცდიდენ ეკონომიკურ განვირებას, იმ აღვილებში, სადაც ისინი იყვნენ მოთავსებულნი, ჰქმნიდენ ანტისანი- ტარულ მდგომარეობას, რაც, რასაკირველია სა- შიში იყო ახლო-მახლო აღვილებში დასახლებულ მცხოვრებთათვის. აი, სწორედ ამ გვარმა გარემო- ებამ წარმოშვა საკითხი ლტოლვილთა გადასახლე- ბის საქმეში სახელმწიფოს ჩარევისა.

სახელმწიფო თვით დაინტერესდა ამ საკითხის რაციონალურათ გადაკრაში. ამას მოითხოვდა რო- გორც ლტოლვილთა, ინტერესები, ისე სახელმწიფო- სიც. ეს იყო მიზანი, რომ თვით სახელმწიფომ მი- იღო თავის თავზე ამ საქმის მოგვარება და, საჭი-

რო ზომების განსახორციელებლათ, გადებულ იქმნა განსაკუთრებული თანხა.

1917 წლის თებერვალში მომხდარმა რევოლუციამ და ამის შემდეგ ზოგიერთ ადგილას განიღებულმა სამოქალაქო მომებმა ხელი შეუწყვეს ლტოლვილთა ტალღების გადიდებას. ჩენები, საქართველოში, ეს ლტოლვილთა რიცხვი თანათან იზრდებოდა. რასაც ხელს უწყვებდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საქართველოში სურსათის საკითხი თითქმის უკანასკნელ ხანამდე, მოწესრიგებული იყო და შესაინწევი ნაკლულევანება არ არსებობდა. პირიქით მეზობელ რესპუბლიკებში ეკონომიკური პირობები იქამდის გამჭვავდა, რომ ადგილობრივი მქონებრინი იძულებული გახდენ მთელი ოჯახით და ხანდის ხან მთელი უპნებით აყრილიყვნენ და წასულიყვნენ იქ, სადაც ისინი, მათის ფიქრით, საშუალებას პოებდენ ოჯახის გამოსაკვებად. ასეთ ადგილებათ მიაჩნდათ საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები და, სწორეთ, ამით აიხსნება ის გარემოება რომ საქართველოში ამ უამაღ ლიდ-ძალი ლტოლვილებია შემოხიზნული. ამას ისიც დაუმატეთ, რომ საზღვრები არ არის დაცული და ყველას საშუალება აქვს საქართველოშა თავისუფლად შემოსვლისა. მათ შორის შეხვდებით: რუსს, ფინელს, ესტონელს, პოლონელს, უკრაინელებს, თაორებს, სომებს, ეზიდებს, ბერძნებს, მალიკებს, აგრეთვე გერმანელებს, ავსტრიელებს და იტალიელებსაც კი. ა უკანასკნელთა აქ ყოფნას უფრო შემთხვევითი ხასიათი აქვს.

ლტოლვილების შეჯგუფების ადგილებათ ითვლება ამ უამათ: თბილისი, ბათუმი, ფოთი სამტკრელია, ხაშური, სურამი, ბორჯომი, მცხეთა, ბორჩალო, სიღნაღმი, თეთრი წყარო და სხვა. სტატისტიკა ლტოლვილთა პროფესიის შიხვედით დაყოფის შესახებ არ არის, მაგრამ მათ შორის შეხვდებით დურგალს, კალატოზს, მექრავს, ხელოსანს, ოჯახის მეურნეს და უმთავრესათ მუშას.

არიან აგრეთვე ინტელიგენტი პროფესიის ხალხი, როგორიცაა: ინჟინერი, ტექნიკი, ექიმი, ვექილი, მასწავლებელი, მღვდელი, მახალე, ოფიცერი, და სხვა, მაგრამ მათი რიცხვი ძოიერ ცოტაა და ისინი ცხოვრობენ ისეთს ცენტრებში, როგორიც არის თბილისი. ქუთაისი და სხვა, ეწევიან სხვა და სხვა საქმეს და ამიტომ მათი მდგრამარეობა როგორც კუნძულობრივი, ისე სხვაფრივ დიდათ განირჩევა სხვა კატეგორიის ლტოლვილთა მდგრამარებითან. ცუდ მდგრამარეობაში იმყოფებიან უფრო მდაბიო პროფესიის ლტოლვილები, რომელნიც ფაბრიკა-ქარხნების უქმნლობის გამო ვერავითარ სამუშაოს ვერ პოულობენ და ხშირად, მოქლებული არიან თავშესფარისაც. ცხოვრობენ ცის ქვეშ უსახლ-კაროდ და უპუროთ. ასეთს მდგრამარეობაში მყოფი ლტოლვილები, რომელთა რიცხვი რამდენიმდე ათი ათასს უდრის, დიდ საფრთხეს უქადის საქართველოს ადგილობრივ მკვიდრთ, რადგან მთ შორის ჩენება მხედა და სხვა გადამდები ავადმყოფებს. საქართველოს მთავრობამ ყურადღება მიაქ-

ცია ამ გარემოებას და ამ ზაფხულის დაწესებულებები შინაგან საქმეთა სახალხო კომისარულისადმი და საქართველოს მთავრობის მიმართველობის მოწესრიგება.

შემდეგ წერილში ჩვენ ვკიდებით დაწერილებით გავაცნოთ მკითხველებს ამ ფრიად საყურადღებო დაწესებულების მოღვაწეობა და საქმიანობა.

3. შენ—ია.

## რეზოლუცია

ამ 1921 წლის, 12—15 აგვისტოს, მოხდა შეერთებული თათბირი რ. კ. კ. კავკასიის ბიუროსი, პარტიულ ორგანიზაციითა მდივნებისა, აზერბაიჯანისა, სომხეთისა, საქართველოსისა, მთის რესპუბლიკებისა და აფხაზეთის პროფესიონალურ კვეშირების წარმომადგენლებისა და კავკასიის კალკე ჯარების ნაწილების პოლიტიკურ მუშაკებისა და გამოტანილ იქმნა შემდეგი რეზოლუცია:

1. რესერტის სოციალისტური რევოლუციისათვის საბჭოთა კავკასია არის აგინძოსტი, რომელიც ირ უმთავრეს მიმართულებათაგან ერთ-ერთის შესრულებული იკავებს პროცესუალულ რევოლუციის და აღმართულა კაბიტალისტურ ექრობის წინაღმდეგ. ამიტომ ჩენ მოგამონი გართ ხელი შევუწყოთ ყოველგვარ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიხლობელ აღმოსავლეთში, რომელი მოძრაობაც გაჩენილია ანტანტის საზარალოდ. ქმალისტები და სპარსეტის ეროვნულ-რევოლუციონური ელემენტები—აი ვის უნდა მიაბყროს თავისი სრული და მახვილი ყურადღება საბჭოთა კავკასიამ.

2. საშინაო პოლიტიკის სფეროში, პირველ ყოვლისა, ხელისა განვიარენთ განმტკიცება კავკასიის მშრომელ მასშების ძმური სოლიდარობისა, რომელი სოლიდარობაც უნდა დამყარდეს მჭიდრო ეკონომიკურ გარეთიანებაზე. ნაკიონალიზმის ნაშოთა დახმარებულ კომუნისტური პარტიი იძულებული ჩდება, სრულიად შეგნებულად, დროებით ბევრი რამ დაუთმოს მასსათა ეროვნულ მისწრაფებათ იმ მიზნით, რომ უმტკიცვნებულოდ ამოქარდეს ის შოვინისტური შაბაზი, რომელიც შემცვიდრეობად დაგვრჩი მენშევიკებისა, დაშნაკებისა და მუსავარებისაგან. ამ დათმობამ იოტის ოდენა გავლენაც არ უნდა იქონიოს პარტიის პრინციპების გარკვეულობასა და სიმტკიცეზე. ამის დავიშეუებას იქამდე ზიკევართ, რომ ზოგიერთი ჩენი ამხანავი, მიღის რა დათმობის გზით ბოლომდე, თითოეულ აგადება ნაკიონალიზმით. ჩენი პარტიი მოვალეა სასტიკი და ვადაჭრილი ბრძოლა გამოუხადოს ასეთს დათავევებების და ძირშივე აღმოფხრის ცდას ცდა დროებით დათმობათა პოლიტიკის წერილ-ბურჯუაზიულ ნაკიონალისტთა პოლიტიკად გადაქცევისა.

3. დამოუკიდებლობა კავკასიის საბჭოთა რეს-  
პუბლიკებისა ჩვენთაის არის მხოლოდ ფაქტორი  
ბრძოლისა საერთაშორისო მხრივ, ფაქტორი წი-  
ნააღმდეგ ნაციონალურ ვიწროობისა და ჩამორჩე-  
ნილობისა. დამოუკიდებლობა სრულიადაც არ ნა-  
შნავს კავკასიის მშრომელთა განცალკევებისა და  
ვათვათვების. მუშათ კოსის ღიქტატურისა და  
პროლეტარულ სოციალიზმის განმტკიცების საქ-  
მეში კავკასიის რესპუბლიკები ერთსულოვანნი და  
ერთნი არიან. ეს ერთიანობა და ერთსულოვნება,  
პირველ ყოვლისა, ნათლად სხანს პარტიულ მუშა-  
ობისა, პროფესიონალურ გაერთიანებისა და ახალ-  
გაზრდათა კომუნისტურად აღზრდის სფეროში, კა-  
ვკასიის ბიუროს უშუალო ხელმძღვანელობითა და  
რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კო-  
მიტერის იღებრ ბარონობით.

4. კავკასიის ოქსპედიციათა წარმატება მტკიცება არის დაკავშირებული საბჭოთა კავკასიის ეკონომიკურ ერთიანობასთან. შეუძლებელია ეს ოქსპედიციები გაყოფილნი იყვნენ ერთმანეთისაგან ეკონომიკურის საზღვრებით, ვინაიდან საბჭოთა კავკასიის გზა მიღის ერთი მეურნეობისაკენ. საკითხი ოქსპედიციათა ეკონომიკური გაერთიანების შესახებ პრატიკულად უკვე მოჩიდ საკითხად გადაიქცა. რკინის გზებისა და გარეშე გაჭრობის გარეთიანება უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს. ამიტომ პარალელური თათბირი აღასტურებს რა კავკასიის ეკონომიკურ, თათბირის თეზისებსა და ორგონიზების, იმედოვნებს, რომ კავკასიის ოქსპედიციები არ დააყვანებენ და ხელს მოაწერენ კავკასიის ეკონომიკურ კავშირის შესახებ მომხდარ შეთანხმებას და დროებით (კავკასიის ეკონომიკურ ყრილობის მოწვევამდე) შექმნას კავკასიის ეკონომიკურ ბიუროს, რომლის ერთი უმთავრესი მიზანთვანი — გაერთიანებულ რეინის გზებისა და გარეშე გაჭრობის ორგანთა ხელმძღვანელობასა, მელიორაციასა და კავკასიის ელექტროფიკაციისათვის მუშაობასთან ერთად, — უნდა იყოს კავკასიის ეკონომიკურ მომავალ ყრილობის მოწვევაზე ზრუნვაც.

5. სასურათო მდგრძნელი კავკასიის რესპუბლიკის უმძიმესად უნდა ჩაითვალოს. კავკასიის რესპუბლიკებს რესეფის დახმარების იმედი აღარ უნდა ჰქონდეთ. იქ წელს გვალვამ მთელი მინდვრები გააზიარა, ამიტომ, მოიხსარებენ რა კავკასიის სურათის მთელს მარაგს, კოოპერატივების დახმარებით, საჭირო საქონელზე გადასაცემოებიდან და სათანადოთ გაძრავებები რა ცხოვრებაში სასურათო გადასახადს, — კავკასიის რესპუბლიკებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ გარეშე ვაჭრობას. ამ მხრივ გაერთიანებულ გარეშე ვაჭრობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძღვეა, რის-თვისაც იგი უნდა გაძლიერდეს, მას აუცილებლად უნდა გადაეცეს რესპუბლიკების ხავალიურო ფონდები, რაც აქამდე არ შესრულდა. გაერთიანებულ გარეშე ვაჭრობას, იმუშავებს რა მთელის კავკასიისათვის, შეიძლია მეტად განვითარდეს, რაკი მას ექნება სრული და სიტყვა-შეუბრუ-

ნებელი დახმარება რესპუბლიკისა. სასურათო მუნიციპალიტეტი შაობასთან მჰიდრო კი შირი ძეგლის სისოფლის განვითარებას, რაც ასე ციინია რესპუბლიკებს, ნამეტად ამ კრიზისის დროს, რომელიც კრიზისიც უაღრესად მოითხოვს საკუთარი მარაგის გადასაცემას, მოითხოვს მისგან ხორბალს, საჭანლის საკედეს, ხორცს და სხვ. აღმოჩნდინება წვრილ მეურნეობის კულტურისა, მიჩვევა წვრილ მესაკუთრის საარტელო და საბჭოთა წესის წარმოებაზე, შექმნა სოფლიად საწარმოებო და სახელსაშორისო კომისარიატისა, მოწოდება გლეხებისადმი სახოფლო მეურნეობის მანქანებისა და იარალისა, საარტელო საფუძველზე, და რაც უფრო უმთავრესია, მორწყევა კავკასიის უზნაყოფიერებებისა, პირველ კოვლისა მურანის ველისა, ასეთ მომავალში არამც თუ გაანელებენ და ჩაქრობენ კრიზისს, არამერი სრულიად უზრუნველყოფებრივ კავკასიის სურსათის მხრივ. წარმოების სფეროში — ალორძინება აფშერონის ნახევარ კუნძულისა და აქ გრიზნის რაიონის ნავთის წარმოების გახალება — აი რა უნდა ჩაითვალოს, უფასოს კურელ მრზნათ ჩეგნის საქმიანობისა. უზბერკველყოფა ნავთის წარმოების მოშებისა და ტექნიკურაზე გაჯანხელება ოვით ნავთის წარმოებისა უნდა შეიქმნეს სადღისო საზრუნვაზ საგნად ყოველ რესპუბლიკებისათვის. მდგომარეობა, ამიერ-კავკასიის გაერთიანებულ რკინის გზებისა დიდით დამაფიქტებელია: ძლიერი საბორგაური რკინის გზელთოზოგიერთ ჯგუფებისა და შეუგნებლობა ზოგიერთ კომუნისტების მიერ ამიერ-კავკასიის რკინის გზების გაერთიანების დირი მნიშვნელობა-სარგებლიანობისა, აფერებს სატრანსპორტო მუშაობას. განმტკიცება რკინის გზების გაერთიანებისა, გადატყობისა ამ გზებზე საჭირო ძალებისა, დაბმარება ყველა რესპუბლიკების მხრივ მატერიალურად, გამხნევება რკინის გზის დამზინისტრაციისა და სატრანსპორტო მუშაობის დამკერელიად გამოცხადება, ყველა ამანუნთა გაჯანხელობის და გადახალისოს დავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ეს კონკრეტური ტამარი (ნერვი).

6. დღეგანდელ მომინტის გარდუვალი და მუ-  
კილებელი საჭიროება არის: ძობზღვა გლეხთა ჩა-  
მორჩენილ მასებისა კომუნისტურ პარტიის ხელ-  
შძლვანელობით და აგრეთვე შეიქროება, შეცოლება  
ჩაეწის მუშაობისა სოფლად და ქალაქად, ნამეტ-  
ნავად დიდი მუშაობა გვმართებს ბაქოსა და ერო-  
ზნის მოწინავე პროლეტარების წრეებში. ამასთა-  
ნავე ხელი უნდა იყოლოთ გლეხთა შორის პროლე-  
ტარიატის გეგემონის მექანიკურად გატარების ღო-  
ნისძიებებზე და შევეცადნეთ, რომ პროლეტარიატ-  
მა უკან გაიყოლოს გლეხობა და დაიმორჩილოს  
იგი, გლეხობა პოლიტიკურად სისტემად იქნის,  
ხანგრძლივის და მოთმინებით აღსახვე მუშაობით  
სოფლად, გასწევს ჩა პროპაგანდა-აგიტაციის მ:თ-  
ოვის საჭირო კითხვების შესახებ; როგორც არის  
კითხვები; სასურსათო, სათესლე, სათრევე, სამელი-

ორაუიო, სააღმშენებლო, საკულტურო-საგანმანათლებლო და სხვ.

7. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კავკასიის რესპუბლიკათა პროლეტარიატი განკვეთილი მცირე-რიცხვები და დაფანტულია კავკასიის წვრილ-ბურჟუაზიულ მცხოვრებთა შორის. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძღვა მათ შეკრებისა და პროფესიონალურ კავშირების დაარსებას, ორგანიზაციას, რომლის მეობებითაც უნდა დავიხსნათ პროლეტარიატი მნიშვნელობისა და მეშჩანურ იღეოლოგიის ზეგავლენისაგან. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავისი მუშაობა პროფესიონალურ კავშირებში, შეიგსონ იგინი საკმაო რიცხვით მომზადებულ და გამოყენელი კომუნისტებისა, მოაწყონ მობილიზაცია პარტიის წევრებისა პროფესიონალურ მუშაობა და ყოველი ძალონით ემსახურონ კავკასიის რესპუბლიკათა პროფესიონალურ მოძრაობათა გაერთიანებას.

8. აღნიშნა რა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ კავკასიის რესპუბლიკის მუშა ქალთა და გლეხებს შორის პარტიი ძალიან სუსტად მუშაობს, თათბირი აუცილებელ საჭიროებათა სოფლის გაძლიერებულ იქმნას მუშაობა ქალთა შორის, იმ მიზნით რომ აღმოსავლეთის ქალები მოექცენ კომუნისტურ იღების გავლენის სფეროში. ამისათვის საჭიროა: პირველად, გაძლიერება კომიტეტების საქალებო განყოფილებათა მომუშავეების რიცხვით; მეორედ, გაფართოება სააგიტაციო საპროპაგანდო და საგანმანათლებლო მუშაობისა ქალთა შორის, იმ სახით და ღონისძიებათა მიღებით, რომელი სახეცა და ღონისძიებაც შეეფერება კავკასიის მუშა ქალთა თავისებურობასა და ზე ჩვეულებას; მესამედ, ხშირი მოწვევა ქალთა უპარტიო კონფერენციებისა და ამ კონფერენციებზე დაყენება და გადაჭრა ისეთი საკითხებისა, რომლებიც უფრო აღლვებენ მუშა ქალებს, და მეოთხედ, ჩაბმა უპარტიო მუშა და გლეხ-ქალებისა საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაობაში, მათის წახალისებით.

9. ახალგაზრდათა წრიდან ჩვენ ვმნით ახალ-ახლ გუნდებს, ახალ-ახალ მწყობრებს, პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ მუშაკებისას, ამიტომ განსაკუთრებულის ყურადღებითა და მზრუნ-

ველობით უნდა მოვეპყროთ ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭოებს. ჩვენ უნდა: 1) დავაძიროთ მტკიცე კავშირი კომიტეტებსა და ახალგაზრდა კომუნისტთა საბჭოებს შორის, ურთიერთოს წარმომადგენლობით; 2) გამოვყოთ საუკეთესო პარტიული ძალები ახალგაზრდათა შორის სააგიტაციო საპროპაგანდო მუშაობის საწარმოებლად.

10. კავკასიის რესპუბლიკების დაცვა პირველი საქმეა და პირველ რიგშიც სდგას, აქედან აშენება, რომ ყოველმხრივი დახმარება წითელ ჯარს, შენახვა მისი ვაკეაცია მეომრობისა, ზრუნვა მისთვის და სიყვარული მისდამი — უნდა იყოს უპირველესი მოვალეობა თითეულ კომუნისტისა. მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ კავკასიაში სწირია ჯარს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა, ვინაიდან აქ პროლეტარიატის სუსტია და ჩვენ პირდაპირ ვდგენარო ანტანტის უამრავ აგენტებისა და კონტრ-რევოლუციონურ ძალებთან.

11. ყველა მმ დიად დანიშნულებათა აღსრულება შეუძლია მხოლოდ ძლიერ პარტიის, ძლიერს თავისის შეკავშირებით, შეჯნებითა და დისკიპლინით. თუ ჩვენ არ გამოუდგებით პარტიის რიცხვითი გაძლიერებას, და ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ მის ღირსებითი მხარეს, მაშინ ჩვენ მოვახდებთ პარტიის გაწმენდას შემთხვევით და საეჭვო ელემენტებისაგან და მით გავაჯანსაღებო მას. ძლიერება ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისა გამოიხატება აგრეთვე ადგილობრივი ორგანიზაციების ცინტრალურ თავმდებრების მიერ მტკიცე ხელმძღვანელობაში ერთის მხრივ და კავბიურო ცენტრალურ კომიტეტებისა კავბიუროსთან, ყოველმხრივი და მტკიცე ხელმძღვანელობა უკანასკნელისა პირველების მიმართ. მოხერხებული წარმართვა მათი მოღვაწეობისა — გამარჯვებით დაავირვენ ჩვენი პარტიის მუშაობის კავკასიაში.

# შინაგანი

## გვ-XIV-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

- |    |  |     |   |
|----|--|-----|---|
| 1) | დეკრეტი № 59 საქ. რევ. კომიტეტისა მატყულზე<br>ნატურალურ გადასახადის და-<br>წესებისა.   | 10) | " № 51 საქ. რევ. კომიტეტისა ბირჩე-<br>ლოს მაზრიდან საზღვარ-გარედ<br>უცელის გატანის იკრძალვის<br>შესახებ.      |
| 2) | " № 60 საქ. რევ. კომიტეტისა პუ-<br>რის ნატურალური გადასახა-<br>დისადაწესების შესახებ.  | 11) | " № 52 საქ. რევ. კომიტეტისა საქ.<br>სოც. საბ. რესპ. უმაღლესი<br>ეკონომიკური საბჭოს ორგანი-<br>ზაციის შესახებ. |
| 3) | " № 61 საქ. რევ. კომიტეტისა პირ-<br>დაპირი გადასახადის ზოგიერთი<br>კუნინმდებლობის შეცვლისა და<br>იმ გადასახადთა და ჯარიმების<br>გაბათილებისა, რომელიც გა-<br>დასახადთა სამმართველოს სა-<br>ბუქხალტერო დავთრებში ირი-<br>ცხება. | 12) | " № 53 საქ. რევ. კომიტეტისა წის-<br>ქილის შემოსავლის დაბავვის<br>შესახებ გვ. 10—15.                           |
| 4) | " № 62 საქ. რევ. კომიტეტისა მიწის<br>მფლობელობით და მისი ურ-<br>თიერობით გამოწვეული და-<br>ვის გადასაწყვეტად განსაკუთ-<br>რებული კომისიის დაარსების<br>შესახებ.  | 13) | დებულება საქ. რევ. კომიტეტისა საქართვე-<br>ლოს მონაცირეთა კავშირისა-<br>თვის.                                 |
| 5) | " № 63 საქ. რევ. კომიტეტისა საქ.<br>სოც. საბჭ. რესპ. მუსულმან-<br>მოსახლეობის საქმეთა საბჭოს<br>დაარსების შესახებ.   | 14) | " № საქ. რევ. კომიტეტისა სამედი-<br>ცორო სასამართლოს შესახებ<br>გვ. 15—18                                     |
| 6) | " № 64 საქ. რევ. კომიტეტისა უცხო-<br>ელების შესახებ. გვ. 1—10.   | 15) | ბრძანება შინ. საქ. სახ. კომისარიატისა სიღ-<br>ნადის მაზრის რევკომისადმი.                                      |
| 7) | დადგენილება № 48 საქ. რევ. კომიტეტისა სა-<br>კრისაშორისო და საქალაქთა-<br>შორისო ტელეფონის ნიხრის<br>დამტკუცების შესახებ.  | 16) | ცირკულიარი უცელი მაზრის რევკომებს და მი-<br>ლიციის მთავარ სამმართველოს.                                       |
| 8) | " № 49 საქ. რევ. კომიტეტისა ტე-<br>ლეფონის დადგმა მოწყობის და<br>გადატან-გადმოტანის ნიხრის<br>დამტკუცების შესახებ.   | 17) | ცირკულიარი უცელი მაზრის რევკომის.   |
| 9) | " № 50 საქ. რევ. კომიტეტისა ფოს-<br>ტა-ტელეგრაფის შინაგან კო-<br>რესპონდენციის ნიხრის დამტ-<br>კუცების შესახებ.  | 18) | ინსტრუქცია შინ. საქმეთა სახ. კომისარისა<br>ქ. ტფილისის განტკირთვის შესახებ. გვ. 18—21                         |

### არა ღია ციფირიალური გაცემის შესახებ.

- 19) სასურათო გადასახადის შესახებ. გვ. 21
- 20) გადასახადი მატყულზე გვ. 22.
- 21) ეკონომიკური სახელმწიფოსაგან გამოყოფა. გვ. 22—23.
- 22) როგორ გაუმჯობესეთ შიმშილს? გვ. 24.
- 23) სათბობი მასალის დამზადებისათვის. გვ. 24—26.
- 24) დაყოვნება შეუძლებელია! გვ. 26.
- 25) ახლოს ახლოს გზა უნდა. გვ. 26—19.
- 26) კვირიდან-კვირაშედე. გვ. 29—31.